ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## მეუფე პეტრე: „კლიმენტი კეკუტიას მონასტრის კარ-მიდამოს ხელში ჩაგდება შევარდნაძის დროიდან უნდა“

გვ.2



დიდი დაპირისპირება სალხინოში

ორშაბათი, 26 აპრილი, 2021 №71 (8600) ფასი: 60 თეთრი

# „თალაკვაძეს ელჩად უშვებენ?!“



გვ.3

## მამუკა გამყრელიძე: „კახა კუჭავა პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის კადრია“





## „გახარია ივანიშვილის უსაფრთხოების ბალიში იქნება“



გვ.3

ხათუნა ლაგაზიძე: „ამნისტიის ნაწილში „ოცნებამ“ ნაღმი ჩადო, დოკუმენტში ნაღმები სხვა საკითხებზეც იქნება“

## „ოცნება“ შეცდომას დაუშვებს, კალაძეს თუ სხვა ჩაანაცვლებს“

რამაზ საყვარელიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებაში“ კიდევ სხვადასხვა მიმართულებით იყოს ცვლილებები. მას წინ უმნიშვნელოვანესი არჩევნები ელოდება“

გვ.4





გვ.4

## ნატო საქართველოსა და უკრაინას იახლოებს

რას მოუტანს რეგიონს აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობების გართულება

### საქართველოს და ლიეტუვის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

გვ.5



ISSN 1987-9385

**2** ვარლამ გოლეთიანი: „23 მაისიდან თბილისში აუღებელ აქციებს დავიწყებთ“

**5** ზუგდიდის ვალუტის ჯიხურში 57 წლის მამაკაცმა გამყიდველ ქალს 10.000 ლარი მოჰპარა

**5** შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.150 ფაქტი გამოავლინა

**4** „კომპანიები პანტა-პუნტით იხურება, ბანკების მოგება კი ძალიან იზრდება“

# მეუფე პეტრე: „კლიმენტი კეკუტიას მონასტრის კარ-მიდამოს ხელში ჩაგდება შევარდნაძის დროიდან უნდა“

## დიდი დაპირისპირება სალხინოში



ჭყონდიდის ეპარქიის ყოფილი მმართველი, პეტრე ცაავა ამბობს, რომ რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს, კლიმენტი კეკუტიას, მონასტრის ტერიტორიის ხელში ჩაგდება სურდა.

— მას შემდეგ, რაც მე მონასტერი დავაარსე და დაიწყო აღმშენებლობითი პროცესები, ყველაფერს აკეთებდა, რომ ხელი შეეშალა. შევარდნაძის ეპოქაში სურდა ამ ეზო-კარის დაპატრონება, — აცხადებს მეუფე პეტრე ცაავა.

მისივე თქმით, ეკლესია უნდა გაიწმინდოს ანტიქრისტიანული აზროვნების მღვდელმთავრებისა და სასულიერო პირებისგან.

კლიმენტი კეკუტიას გამოჩენას სალხინოს მონასტრის ტერიტორიაზე გუშინ, 25 აპრილს, დაპირისპირება მოჰყვა — სასულიერო პირებისა და მრევლის ნაწილი მოითხოვდა, მას ტერიტორია დაუყოვნებლივ დაეტოვებინა.

— მეუფე პეტრეს ჰკითხეთ, რა უნდა ჩემგან. რაც არის, ისიც ჩემი შეწირულია, ესე უთხარით იმას, ვინც მე ამას მაბრალებს. სათამაშო თოჯინა გინახავთ ბავშვობაში, უკან რომ აქვს გასაღები? ისე მართავენ ამ საცოდავებს და უფსკრულისკენ მიაქანებენ, უფსკრულში გადაჩეხავს პეტრე ამათ, — განაცხადა კლიმენტი კეკუტიამ.

დაპირისპირებული მხარე კეკუტიას მოსახლეობის მიწების მითვისებაში ადანაშაულებდა. სწორედ მას უკავშირებენ ჭყონდიდის ეპარქიაში დაპირისპირებას.

კეკუტიას ადგილობრივებმა „მკვლელი“ და „არაკაცი“ უწოდეს.

მეუფე დანიელი, რომელიც მიტროპოლიტმა სტეფანემ ტაძრის წინამძღვრობიდან გადააყენა, ამბობს, რომ კეკუტიას იმ ტერიტორიაზე, სადაც სალხინოს ტაძარია, ბიზნესინტერესები აქვს. მისივე თქმით, მეუფე სტეფანეს დასახვედრად 25 აპრილს ტაძარიც მოამზადეს და ერთადერთი თხოვნა, რაც მასთან ჰქონდათ, იყო ის, რომ იქ კეკუტია არ მიეყვანა.

გუშინ დილიდან ღვთისმშობლის შობის ტაძარში, სადაც ბზობასთან დაკავშირებული წირვა-ლოცვა მიმდინარეობს, მრევლი სხვადასხვა ეპარქიებიდან ჩავიდა. მათ თან ჰქონდათ პატრიარქის მხარდამჭერი ტრანსპარანტები.



— ჯერ მცირე ნაწილია მხოლოდ, კიდევ მოდის მრევლი. ჩვენ გვინდა, რომ გამოვხატოთ ჩვენი პატრიარქისადმი, ჩვენი ეკლესიისადმი სიყვარული და ჩვენს ძმებს მოვუწოდებ, რომ ერთად დავდგეთ. ჩვენს ძმებს მოვუწოდოთ, ერთად ვაშენოთ ჩვენი ეკლესია. იმიტომ, რომ წერია, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია, — განაცხადა დეკანოზმა ილიამ.

მეუფე სტეფანე ტაძარში პოლიციის დახმარებით შევიდა.

# არჩილ თალაკვაძე პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგა

## მის ადგილს კახა კუჭავა დაიკავებს

არჩილ თალაკვაძე პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადადგა.

ამის შესახებ 24 აპრილს გახდა ცნობილი.

— ვთვლი, რომ პარლამენტში შემდგომი პოლიტიკური პროცესის სწორად წარმართვისთვის, მართებული იქნება, დავტოვო სპიკერის პოზიცია და ამ თანამდებობაზე წარვადგინოთ ადამიანი, რომელიც პარლამენტის მუშაობას უფრო ნეიტრალური პოზიციიდან წარუძღვება. შესაბამისად მივიღეთ გადაწყვეტილება, გავაკეთოთ როტაცია. ახალა, როდესაც პარლამენტში წარმომადგენლობითი ოპოზიცია გვყავს, ვთვლი, რომ ჩემი ადგილი დარბაზშია, კოლეგების გვერდით და არა სპიკერის პოზიციაზე, — თქვა თალაკვაძემ.

მან მადლობა გადაუხადა გუნდს და თქვა, რომ მე-9 და მე-10 მოწვევის პარლამენტის სპიკერობა მისთვის დიდი პატივი იყო.




პარლამენტს თავმჯდომარის პოზიციაზე კახა კუჭავას კანდიდატურა წარედგინება.

ახალი თავმჯდომარის არჩევასთან და საპარლამენტო პოსტებზე არჩილ თალაკვაძისა და კახა კუჭავას როტაციასთან დაკავშირებული პროცედურები 27 აპრილიდან დაიწყება.

პარლამენტის თავმჯდომარე, გადადგომის თაობაზე საჯარო განცხადების გაკეთების მომენტიდან, გადამდგარად ითვლება.

მის მოვალეობას ახლა პირველი ვიცე-სპიკერი ასრულებს.

27 აპრილის პლენარულ სხდომაზე აღნიშნულ ფაქტს პარლამენტი ცნობად მიიღებს, რაც საოქმო ჩანაწერით გაფორმდება.

ამის შემდეგ ბიუროს სხდომა გაიმართება და სესიის დღის წესრიგს პარლამენტის ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხი დაემატება.

# სალომე სამადაშვილი ნიკა მელიასთან საპატიმროში მივა

## „ამნისტიის თემა დეტალურად უნდა გავიაროთ“

სალომე სამადაშვილი საპატიმროში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარესთან, ნიკა მელიასთან ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით შეხვედრას გეგმავს.

ამის შესახებ მან „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „პოლიტ-ქალაქი“ ისაუბრა.

— ვფიქრობ, ნიკასთან მივიდე საპატიმროში და ვესაუბრო, უფრო დეტალურად გავიაროთ ეს თემა, — აღნიშნა სამადაშვილმა.



სამადაშვილმა ამნისტიის თაობაზე განმარტა, რომ ვის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ამნისტია მხოლოდ მათ შეეხება.

— თუ გახსოვთ, იმთავითვე ვთქვი, პირველივე დღეს, შეგიძლია მოიძიოთ დანიელსონის პირველი ვიზიტის დროს ჩემი კომენტარი, რომ ეს ამნისტიის შემოთავაზება არ იქნება მარტივი საკითხი და ყველას გვესმის, რომ „ქართული ოცნება“ შეეცდება, ამ ამნისტიის ფარგლებშიც რაღაც მიიღოს, რადგან ესეც გასაგებია.

„ქართული ოცნება“ საკუთარ ამომრჩევლებს ესაუბრება, ჩვენ ვესაუბრებით ოპოზიციურ ამომრჩეველს და ეს ხელშეკრულება რაღაცნაირად ორივე მხარეს უნდა მიჰყიდოს. თუმცა ერთი რამ არის გაუგებარი ჩემთვის, პოლიტიკურად „ქართულ ოცნებას“ რაში სჭირდება, რომ პოლიციელების საკითხის პედალირება გააკეთოს, მაგრამ ფორმულირება საბოლოოდ არის შემდგომი, რომ ვის წინააღმდეგაც არის აღძრული საქმე, შეეხება ამნისტია მხოლოდ მათ, — განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

# ვარლამ გოლეთიანი: „23 მაისიდან თბილისში აუღებელ აქციებს დავიწყებთ“

ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგე აქტივისტმა ვარლამ გოლეთიანმა მთავრობის 24 აპრილის განცხადების შემდეგ, თბილისში დაგეგმილი აქციის თარიღი დააანონსა. რიონის ხეობის მცველები ამბობენ, რომ მთავრობის განცხადება არ აკმაყოფილებს აქტივისტების მოთხოვნებს:

— რაც შეეხება ჩვენს გრძელვადიან და ჩვენი აქციის თბილისში გადატანას, ვამბობთ, რომ ვაანონსებთ თარიღს — 23 მაისს. მაქსიმალურად გადავწიეთ ჩვენი ძირითადი აქციის ჩატარება დედაქალაქში და მოვემზადებით მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. რა თქმა უნდა, აქაც გაგრძელდება პროტესტი, სადაც ვართ. თან მოვემზადებით და 23 მაისს დავიწყებთ აუღებელ აქციებს დედაქალაქში, — განაცხადა ვარლამ გოლეთიანმა.

მთავრობის ადმინისტრაციამ ნამახვანჰესთან დაკავშირებით აქტივისტების მიერ წაყენებულ პირობებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით განცხადება 24 აპრილს დილით გაავრცელა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „კომპანია ამ ეტაპზე გააგრძელებს მხოლოდ პროექტის პირველი ეტაპის მოსამზადებელ სამუშაოებს ინფრასტრუქტურის მიმართულებით, მოქმედი სამშენებლო ნებართვის ფარგლებში“.

ასევე, მთავრობის ცნობით, „ნამახვანჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიცია მოხსნის დამატებით ბარიერებს და შეამცირებს ადგილზე მყოფი სამართალდამცველების რაოდენობას. ტერიტორიაზე დარჩება პოლიციელთა



მხოლოდ ის რაოდენობა, რომელიც საჭირო იქნება ადგილზე არსებული უსაფრთხოების ვითარებიდან გამომდინარე“.

„საპროტესტო აქციის მონაწილეებს, პოლიციასთან კოორდინაციით, კანონის ფარგლებში პროტესტის თავისუფლად გამოხატვისთვის, აქციის გასამართად და კარვის გასაშლელად ადგილის შერჩევის შესაძლებლობა მიეცემათ“ — ნათქვამია განცხადებაში.

# აკაკი ბობოხიძე: „თალაკვაძეს კალაძე გაჰყვება“



— ჯერ იყო და პასუხისმგებლობიდან გაქცევის მიზნით წავიდა ბიძინა ივანიშვილი, შემდეგ გადადგა გახარია, ახლა მიჰყვა არჩილ თალაკვაძე, სავარაუდოდ, მალე გარკვეულ ნაბიჯს გადადგამს კახა კალაძე.

ასე აფასებს „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი აკაკი ბობოხიძე არჩილ თალაკვაძის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვებას.

— ჩემი აზრით, არჩილ თალაკვაძის გადადგომა იმ პროცესის გაგრძელებაა, რომელიც კარგა ხანია მიდის „ქართულ ოცნებაში“. ჯერ იყო და პასუხისმგებლობიდან გაქცევის მიზნით წავიდა პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, შემდეგ გადადგა გიორგი გახარია, ახლა მიჰყვა არჩილ თალაკვაძე, სავარაუდოდ, ძალიან მალე გარკვეულ ნაბიჯს გადადგამს კახა კალაძე. ეს „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე ჩამოშლის თვალნათელი პროცესია, — აცხადებს ბობოხიძე.

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას“ ხელახალი არჩევნების დანიშვნა მოუწევს.

— არ ვიცი, რა მოტივით გადადგა არჩილ თალაკვაძემ ეს ნაბიჯი, ან რატომ შეარჩია ეს კონკრეტული დრო და მომენტი. ფაქტია, პროცესი მიდის. ჩემი აზრით, კახი კალაძეც შესაბამის დროს და მომენტს ელოდება, რომ თავისი განცხადება გააკეთოს. „ქართულ ოცნებას“ გარედან ზეწოლის გარეშეც მოუწევს რიგგარეშე არჩევნებზე წასვლა, — აცხადებს ბობოხიძე.

# საქართველოს დაზვერვის უფროსად შალვა ლომიძე დაინიშნა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაზვერვის სამსახურის უფროსად შალვა ლომიძე დანიშნა.

დაზვერვის სამსახურის ახლად დანიშნულ ხელმძღვანელთან მთავრობის მეთაურმა 23 აპრილს სამუშაო შეხვედრა გამართა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება და უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები განიხილეს.

შალვა ლომიძე დღემდე დაზვერვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 2014-2020 წლებში — დაზვერვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე; სხვადასხვა პერიოდში იგი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი; მუშაობდა უწყების კონტრდაზვერვის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე, ასევე — სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში კონტრდაზვერვის მიმართულებით.

# გირჩელი სანდრო რაქვიაშვილი დეპუტატი სალომე მუჯირის ნაცვლად გახდება



ცესკო-ს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განკარგულებით, პარტია „გირჩის“ საარჩევნო სია ჩაიხსნა. ჟვანიას მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდა და სია ჩაიხსნა პარლამენტის წევრობის კანდიდატების მე-8 ნომრიდან, 129-ის ჩათვლით. „გირჩის“ სიაში დარჩნენ ალექსანდრე რაქვიაშვილი, ჰერმან საბო და ლევან ჯგერენაია.

ცნობისთვის, „გირჩის“ გადაწყვეტილება პარტიული სიის ჩახსნის შესახებ ალექსანდრე რაქვიაშვილისთვის სადეპუტატო მანდატის მინიჭებას უკავშირდება. ამის შემდეგ, პარლამენტის წევრობაზე უარს იტყვის „გირჩის“ სიით პარლამენტში შესული ქალი დეპუტატი — სალომე მუჯირი, რომლის ადგილსაც პარლამენტში ალექსანდრე რაქვიაშვილი დაიკავებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ზერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარია ივანიშვილის უსაფრთხოების ბალიში იქნება“

## ხათუნა ლაგაზიძე: „ამნისტიის ნაწილში „ოცნებამ“ ნაღმი ჩადო, დოკუმენტში ნაღმები სხვა საკითხებზეც იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

**რატომ გადადგა არჩილ თალაკვაძე და უკავშირდება თუ არა მოლაპარაკებებს? უნდა ველოდოთ თუ არა ხელშეკრულებაში სხვა „ნაღმების“ ამოქმედებასაც ისე, როგორც ეს მოხდა ამნისტიასთან დაკავშირებით? და რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ ამ რთული ვითარებიდან გამოსასვლელად? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.**

–– თანამდებობა დატოვა პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც ერთ-ერთი მთავარი მომლაპარაკებელი იყო. ამას უკავშირდება მისი გადადგომა თუ შიდა ინტრიგების მორიგი მსხვერპლია?

***– ვფიქრობ, ორივე ფაქტორმა იმუშავა: ხელშეკრულების ხელმოწერა „ოცნების“ რადიკალურმა ფრთამ ოპოზიციასთან კაპიტულაციად აღიქვა და დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. ბუნებრივია, ისრები უპირატესად მიემართა მოლაპარაკების პროცესში მონაწილეებს და ხელმომწერებს. ასე რომ, თალაკვაძის მოხსნით „ოცნების“ რადიკალებსაც გადაუხადეს ხარკი და ამით სხვა სახელისუფლო დაჯგუფებებმაც ისარგებლეს.***

– რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ როგორ აფასებთ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში შედის, ნიკა მელია როდის გამოვა არ ვიცით და აღმოჩნდა, რომ ჩადებულია ისეთი რაღაც, რომლითაც შესაძლოა გაათეთრონ 20 ივნისის საქმე?

***– მთავარი ნაღმი ამ ეტაპზე არის ამნისტია, თუმცა რამდენადაც ამ ხელისუფლებას ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა საკითხებშიც არანაკლები ნაღმები ექნება ჩადებული. იმ ტიპის ფორმულირებებია, რომელთაც ხელისუფლება კუდს საიდანაც უნდა, იქიდან მოაბამს და როდესაც განხილვები დაიწყება, ვნახავთ, რომ თითოეული ეს საკითხი მართლაც ნაღმად იქცევა.***

„ოცნება“ ცდილობს იმიჯურად დაანგრიოს ის პატარა პარტიები, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ და მეორე მხრივ, ასევე იმიჯურად დაანგრიოს მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერი და აიძულოს ის, რომ თავის ღირებულებებსა და მორალთან კომპრომისზე წავიდეს, იქნება ეს გირაოს თუ ამნისტიის შემთხვევაში.

– დღეს რაც ხდება, ივანიშვილის წისქვილზე წყლის დასხმაა?

– თავისთავად. თუ ერთმანეთთან ისეთ დაპირისპირებაში შევიდნენ, რომ ერთმანეთთან მისასვლელი გზები არ დარჩა, ვერც ერთიან კამპანიას დაგეგმავენ, ვერც სხვა რამეს გააკეთებენ ერთად. ერთიან კამპანიაში იმას არ ვგულისხმობ, რომ მაინცდამაინც მერობის ერთიანი კანდიდატები ჰყავდეთ, შესაძლოა სხვადასხვა კანდიდატები ჰყავდეთ, მაგრამ ერთიანები უნდა იყვნენ იმ საკითხში, რასაც რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნის ერთიანი კამპანია ჰქვია. ამით ხელისუფლება თავს იზღვევს, რომ ოპოზიციას არ ჰყავდეს ერთიანი კანდიდატები, ისე, როგორც მოხდა საპრეზიდენტო არჩევნებზე 2018 წელს. მაშინ ვნახეთ, როგორი შედეგიც დაიდო: პირველ ტურში ერთი პროცენტიც კი არ იყო სხვაობა სახელისუფლო და ოპოზიციურ კანდიდატებს შორის.

ამ შემთხვევაში გახარიას ფაქტორი თავის როლს ითამაშებს და ეს იქნება მთავარი განსხვავება 2018 წლის არჩევნებთან. თუ ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე შეთანხმდებოდა, მაშინ ორი წამყვანი კანდიდატი იქნებოდა, მაგრამ თუ გახარიაც შემოვიდა თამაშში, საერთო სურათს აჭრის. ივანიშვილი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში წაუგებელ თამაშს თამაშობს.

გახარია უსაფრთხოების ბალიშის როლის შემსრულებელი შეიძლება გახდეს ივანიშვილისთვის, მიუხედავად იმისა, გახარია მისი პროექტია თუ დამოუკიდებელი მოთამაშე.

ვინაიდან შეთანხმებაში ჩაიწერა ის, რომ „ოცნებამ“ 43%-ზე ნაკლები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ ვადამდელი დაინიშნოს, ამიტომ ოპოზიციას მოუწევს 2020-ზე ნაჩვენები შედეგის გაუმჯობესება.

ტრადიციულად უფრო ნაკლები ამომრჩეველი დადის ხოლმე ადგილობრივ არჩევნებზე. რაც უფრო ნაკლებია ამომრჩეველი, ეს ხელისუფლებისთვის უკეთესია, რადგან მისულ ცოტა ხალხში მისი ამომრჩევლის წილი მეტია, რადგან მას აქვს მეტი ფული, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ახდენს, ორგანიზებულად, მოსყიდვით, დაშინებით მიჰყავს უბნებზე თავისი ამომრჩეველი და ა. შ.

მოკლედ, პრობლემების მთელი კასკადია და ვადამდელი არჩევნების დანიშვნისთვის შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს გახარიას ამომრჩეველი. ამ შემთხვევაში, გახარიას ახალი პარტია ოპოზიციის პარტნიორად უფრო გვევლინება, თუმცა არა პირდაპირ, არამედ ირიბად. ანუ, თუ გახარია იმუშავებს „ოცნების“ ხმებზე, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს „ოცნების“ შანსებს, აიღოს 43%.



თუმცა, გახარიას პოლიტიკურ სცენაზე შემოსვლის შემთხვევაში, თუკი ის ხელშესახებ შედეგს დადებს, უკვე რიგგარეშე არჩევნებიც შეიძლება აღარ იქნეს საშიში გამოწვევა ივანიშვილისთვის. იმიტომ, რომ გახარია მისთვის უსაფრთხოების ბალიშის როლს შეასრულებს და ივანიშვილს დარჩება იმის შანსი, რომ მომავალ რიგგარეშე არჩევნებზე ისეთი კონფიგურაცია დაჯდეს, რაც მას პიროვნულად არ დააზარალებს.

# „თალაკვაძეს ელჩად უშვებენ?!“

## მამუკა გამყრელიძე: „კახა კუჭავა პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის კადრია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის სიტუაციას? გასული კვირის ბოლოს მოულოდნელად პარლამენტის თავმჯდომარე გადააყენეს. უამრავი ვერსია მოვისმინეთ. მოარული ხმები „ოცნების“ შიგნით დაწყებულ რღვევაზე. რას იტყვით თქვენ? რაზე მიგვანიშნებს ეს ყოველივე?***

– სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის ეს ყოველივე სიურპრიზი იყო. გააჩნია აღქმას, თუ როგორ აღიქვამს „ქართული ოცნება“ ამ შეთანხმებას. ჩემი აზრით, ეს შეთანხმება იყო უდავოდ წარმატება როგორც „ქართული ოცნებისთვის“, ასევე ოპოზიციისთვის და ასევე მთლიანად საქართველოსა და ევროკავშირისთვის. მოხდა განმუხტვა ამ ძალიან მძიმე კრიზისის, მთლად არ ჩამქრალა, მაგრამ განმუხტვა მოხდა.

***– შესაძლოა „ქართული ოცნება“ დამარცხებულად გრძნობს თავს ამ სიტუაციაში?***

– ალბათ ასეა. თალაკვაძე პირველ ხაზზე იდგა ამ შეთანხმების და პირიქით, მადლობა უნდა ეთქვათ მისთვის, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ის გაუშვეს. რაღაც უცნაური სიტუაციაა, ის დააქვეითეს. მისი მოადგილე თავმჯდომარე გახდა და ის მოადგილეთ გადავიდა. მე ასე გავიგე, რომ თალაკვაძეს ელჩად გაუშვებენო. ელჩად გაშვება, პენსიაზე გაშვებად ითვლება ხოლმე მსხვილ პოლიტიკოსებში. მეორე მხრივ რომ შევხედოთ, დააწინაურეს კახა კუჭავა, რომელსაც მიჰყავდა საერთაშორისო მიმართულება. ეს მისი სპეციალიზებაც არის. შეიძლება უფრო გაღრმავება ხდება ურთიერთობებისა ევროკავშირთან.

***– ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია ამ ყველაფერში?***

– აბა სხვას ვის ხელს ხედავთ?! მე თალაკვაძის გაშვებას ნამდვილად არ მოველოდი, პირიქით მეგონა, რომ მადლობას ეტყოდნენ ამ ადამიანს.

***– ოპოზიციის ერთ ნაწილს უხარია, ირღვევა და იშლება „ოცნებაო“. ეს დაშლაა თუ წინასაარჩევნოდ სიტუაციის გადალაგება?***

– „ოცნება“ არის ბიძინა ივანიშვილი, თუ ბიძინა ივანიშვილი იშლება თვითონ, პიროვნულად, მაშინ იშლება „ოცნებაც“. სხვა შემთხვევაში, შესაკრებთა გადანაცვლებით არაფერიც არ იცვლება. კუჭავას არ ვიცნობ, თალაკვაძე კი იყო ძალიან ადეკვატური ადამიანი.

***– მაშინ რა მოხდა? ივანიშვილმა ასე აღიქვა, რომ თალაკვაძემ მას უღალატა?***

– მე ასე მგონია, რომ ბიძინამ ეს ყველაფერი აღიქვა, როგორც დამარცხება. აქედან გამომდინარე მე კიდევ ველოდები შემდგომ ნაბიჯებსაც. როგორც ვიცი, ირაკლი კობახიძეც შეეწირება ამ ამბავს. ასევე მას მდინარაძეც მიყვება.

***– მდინარაძე დიდი ხანია აღარ ჩანს.***

– კი, ბატონო, აღარ ჩანს. ეს უკვე აჩენს კითხვის ნიშნებს. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, ეს ყველაფერი მალევე ვიხილოთ?

***– ადგილობრივ არჩევნებამდე გადააყენებენ კობახიძეს?***

– არ გამოვრიცხავ მაგ ამბავს. როგორც ჩანს, არჩევნების წინ ცოტა სხვა გუნდი უნდა დაწინაურდეს. თუ ვინმე დაწინაურდება, ბევრი ფიქრი ამას არ სჭირდება, ეს იქნება ღარიბაშვილის გუნდი. ერთი პერიოდი, თალაკვაძე-კობახიძის ფრთა აღიქმებოდა, როგორც კახა კალაძის გუნდი. თავის დროზე ასე იყო, მერე გადალაგდნენ, გადმოლაგდნენ... კახა კუჭავა რომ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის კადრია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. როგორც ჩანს, ისეთი კადრებით მიდის ჩანაცვლება, ვისაც მაქსიმალურად ენდობა.



***– კალაძესთან დაკავშირებით რა ხდება, არ დააყენებენ მერობის კანდიდატად?***

– არაერთგვაროვან ინფორმაციებს ვისმენ. ერთი ნაწილი ამბობს, რომ აუცილებლად დადგება კვლავ მისი კანდიდატურა, ძალიანაც არ უნდა, მაგრამ აიძულებენო. როგორც ჩანს, კალაძეს სულაც არ უნდა მერობა, თორემ კამპანია უკვე დაწყებული ექნებოდა.

***– არაფერი მჭირს საიმისო, რომ ვინმეს პარტიაში მიხილოთო, როგორ გაიგეთ კალაძის ეს ნათქვამი, რჩება „ოცნებაში“?***

– ალბათ კი. ხომ წავიდა ჭორები, რომ გახარიას პარტიაში ვიხილავთო და ეს განცხადება ამ ჭორების გასაბათილებლად იყო. მას შეეძლო ოპოზიციაში გადასვლა, მაგრამ ქალაქის მერი რომ ხარ, შეუძლებელია, შენს სამეურნეო საქმიანობაში არ იყოს შავი ხვრელები. მე მას არაფერს ვაბრალებ, მაგრამ თავისუფლად შეძლებენ ამ ხვრელების გამოყენებას მის წინააღმდეგ. თუნდაც იმისათვის, რომ რაღაც აიძულონ.

***– კობახიძე-თალაკვაძის ფრთის გაშვებით, ივანიშვილი ამომრჩევლის გულის მოგებას ხომ არ ცდილობს? ამ დოკუმენტზე ხელმოწერით მხარდამჭერების ნაწილი გაანაწყენაო. ამაზე რას იტყვით?***

### „ირაკლი კობახიძე და მდინარაძეც შეეწირებიან ხელშეკრულების ამბავს“

– რითი არიან უკმაყოფილოები, ეს ჩემთვის გაუგებარია. ვადამდელი არჩევნები რეალურად დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის, სხვა რა, ზის ციხეში ადამიანი და თუ ევროკავშირი დაუდგება თავდებში, ან ამნისტიით გამოვა, ამაში რა არის გასანაწყენებელი?!

***– ასეთი ვერსიაც გაჩნდა, რომ არ უნდა ივანიშვილს ამ ხელშეკრულების შესრულება და ამიტომ უშვებს თალაკვაძესო.***

– აი ეს უკვე სხვა საკითხია. თუმცა ამის გამბედაობა არ ეყოფათ. ამის არშეუსრულებლობას დიდი ამბები მოჰყვება. ამ შემთხვევაში ძალიან დიდი დარტყმის ქვეშ მოხვდება შარლ მიშელი და ევროკავშირი მთლიანად. ასე ვთქვათ, გადაგდებულები აღმოჩნდებიან, რასაც არ აპატიებს არავინ დედამიწის ზურგზე. სერიოზული სანქციების ქვეშ მოყვება ქვეყანა. თუ გახსოვთ, როდის დაიწყო დათმობაზე წასვლა „ქართულმა ოცნებამ“? როგორც კი ახსენეს, რომ 60 მილიონი უნდა მოგვეცა თქვენთვის და არ მოგცემთო. დღეს სწორედ ამ დახმარებების ხარჯზე ცხოვრობს საქართველო. ტურიზმი მკვდარია და ეკონომიკა და ასე რომ, ეს დახმარებებიც თუ შეგვიწყდა, დაემშევათ საზოგადოება და რა შედეგები მოყვება ამას, კაცმა არ იცის.

***– როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ მიდის გუნდის გადახალისება და ვისაც თვლის ივანიშვილი, რომ არაპოპულარული სახეა, მას უშვებს?***

– თუ ივანიშვილმა გაუშვა კობახიძე, მდინარაძე, მათიკაშვილი, თალაკვაძე უკვე გაშვებულია, მაშინ ვნახავთ, რომ ხისტი ჯგუფი მოვა, ვგულისხმობ ღარიბაშვილის ფრთას. კუჭავას რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ ის არ იქნება ხისტი, მას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს ევროკავშირთან. მაინც იმედიანად ვუყურებ კუჭავს დაწინაურებას და მგონია, რომ ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავებისკენ მიდის საქმე.

***– შესაძლოა, რომ ევროპის რეკომენდაცია ყოფილიყო კუჭავას დაწინაურება?***

– არ გამოვრიცხავ, თუმცა, ასე პირდაპირ არ მიუთითებდნენ. შესაძლოა ზედმეტად შეაქეს კუჭავა და ეს იყო ნიშანი. საინტერესოა, ვინ იქნება პარტიის თავმჯდომარე, კობახიძეს რომ გაუშვებენ.

***– ირაკლი ღარიბაშვილი?***

– ღარიბაშვილის მოსვლა პარტიაში, ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ მმართველობა თავიდან ბოლომდე ხელში აიღო ღარიბაშვილმა და მისმა ფრთამ. ეს რამდენად კარგი იქნება, ვერ გეტყვით. ღარიბაშვილი ძალიან ხისტია. დღეს „ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანია ადგილობრივი არჩევნების მოგება, როგორმე გადაცდნენ 43%-ს. აი თუ გიორგი გახარია შემოვა საარჩევნო ველზე, ეს იმას ნიშნავს, რომ 50%-ის აღება ძალიან გაუჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ არჩევნებში ყოველთვის 50-55%-ს იღებდა „ოცნება“, გახარიას შემოსვლის შემთხვევაში ვერ აიღებს. სერიოზულად წაართმევს ხმებს. აქედან გამომდინარე, ეს დათქმული 43% არ იქნება ასეთი მარტივი. ჯერ ადრეა ამ ყველაფერზე საუბარი. გახარიაც არ ჩქარობს განცხადების გაკეთებას. თუ დიდხანს დააყოვნებს, შესაძლოა გვერდზე ჩაუაროს ადგილობრივმა არჩევნებმა.

# ცოლის დისშვილებს ნივთებს აყიდვინებდა და დღეში 40 ლარს ითხოვდა

## 46 წლის დ.კ. დააკავეს

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ორი არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე დ.კ-ს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დ.კ-მ სარგებლის მიღების მიზნით არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გეგმა შეიმუშავა. კერძოდ, ექსპლუატაციის მიზნით, მან გადაიბირა მასზე მატერიალურად და სხვაგვარად დამოკიდებული, მასთან მცხოვრები მეუღლის არასრულწლოვანი დისშვილები, რომლებსაც 2 წლის განმავლობაში შრომით ექსპლუატაციას უწევდა.

დ.კ. არასრულწლოვნებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით და ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარით თბილისის სხვადასხვა ქუჩებში წვრილმანი ნივთების გაყიდვას აიძულებდა. ამასთან, დ.კ.-მ არასრულწლოვნებს სავალდებულოდ დაუწესა მასთან ყოველდღიურად 40 ლარის მიტანა, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი მათზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა, ძალადობის გამოყენებით ემუქრებოდა და შრომის გაგრძელებას აიძულებდა.

არასრულწლოვნების მიერ ნივთების გაყიდვით და მოწყალების გზით შეგროვებულ თანხებს ბრალდებული თავად ისაკუთრებდა და თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1975 წელს დაბადებული დ.კ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 14-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 143 პრიმა-ორი მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებულ შრომით ექსპლუატაციას გულისხმობს.

# „ოცნება“ შეცდომას დაუშვებს, კალაძეს თუ სხვა ჩაანაცვლებს“

## რამაზ საყვარელიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებაში“ კიდევ სხვადასხვა მიმართულებით იყოს ცვლილებები. მას წინ უმნიშვნელოვანესი არჩევნები ელოდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო რამაზ, არჩილ თალაკვაძის გადადგომას თქვენ რითი ხსნით? ოპოზიციასთან წარმატებული მოლაპარაკებების შემდეგ ერთ-ერთი მომლაპარაკებელი რატომ ჩამოაქვეითეს?***

– ჩერჩილმა ომი მოიგო და ის არ აირჩია ხალხმა არჩევნებზე. პოლიტიკაში ხდება ასეთი რაღაცები. მე ამ ფაქტს არ ვხსნი, როგორც დასჯას. მაშინ არც ვიცე-სპიკერი არ იქნებოდა. ემოციებით დატვირთულმა პერიოდმა უფრო ცხადი გახდა, რომ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელია. „ქართულ ოცნებას“ შლეიფად მოჰყვება დასავლეთთან ურთიერთობის დარეგულირების პრობლემა. მე უფრო ეს მგონია მოტივი ამ ცვლილების. თუ ვნახავთ თალაკვაძე ვინ შეცვალა, ეს უფრო აშკარა გახდება. კუჭავა, რომელიც დასავლეთის მიმართულებას ხელმძღვანელობს და არა სხვა ნებისმიერი მათგანი.

***– შიდა დაპირისპირებას, ერთგვარ გადალაგებას გამორიცხავთ? თუნდაც თალაკვაძეს გული მიუწევდეს გახარიასკენ?***

– გამოვრიცხავ. მაშინ „ქართულ ოცნებას“ საერთოდ დატოვებდა და არც ვიცე-სპიკერი არ გახდებოდა.

***– კობახიძე შეიძლება შემდეგი იყოს? მანაც დატოვოს პარტიის თავმჯდომარის პოზიცია, როგორც ამ გუნდის ლიდერმა?***

– გამოვრიცხავ. თუ ამ ცვლილებას შევაფასებთ, როგორც ამ გუნდის დასჯას, მაშინ შეიძლება და არაფერია გამორიცხული, მაგრამ თუ დასავლეთზე ორიენტაცია, მოცემულ ეტაპზე უფრო საჭირო ადამიანების დაწინაურებაა მიზანი, მაშინ არა.

მე არ გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებაში“ კიდევ სხვადასხვა მიმართულებით იყოს ცვლილებები. წინ უმნიშვნელოვანესი არჩევნები ელოდება „ქართულ ოცნებას“. ოქტომბერში, ძალიან მალე ადგილობრივი არჩევნებია.

***– „ოცნებამ“ ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება დაიწყო?***

– დიახ. ხელისუფლებაში, პარტიაში ყველა გადაადგილება ჩვენ უკვე სწორედ ადგილობრივი არჩევნების პრიზმაში უნდა განვიხილოთ. დაანონსებულია, რომ უნდა გამოჩნდეს მისთვის ბევრად უფრო კონკურენტული პოლიტიკური ძალა, ვიდრე დღევანდელი ოპოზიცია. რასაკვირველია, „ოცნებამ“ უკვე დაიწყო სამზადისი. თან, ეს ნაბიჯი დასავლეთთანაც მიდის, თალაკვაძის ჩანაცვლებას ვგულისხმობ კუჭავათი. ერთი სიტყვით, ბევრი მიმართულებით აქვს ამოცანა „ოცნებას“. დასავლეთთან ურთიერთობა, ეკონომიკა, შიდა ურთიერთობები და, რაც მთავარია, ადგილობრივი არჩევნები. ამ მიმართულებებს შესაბამისი კვალიფიკაციის ხალხი სჭირდება.

***– „ქართულ ოცნებაში“ ახალ სახეებს უნდა ველოდოთ? განახლებაზე საუბრობთ?***

– განუახლებელი ძალა, რომელიც არსებულ რეალობას არ უწევს ანგარიშს, ტრადიციული ოპოზიციური პარტიები ისედაც არიან. ამიტომ, რა თქმა უნდა, „ოცნება“ ეცდება, რომ განახლებისკენ, სიახლის შეთავაზებისკენ გადადგას ნაბიჯი.

***– ადგილობრივი არჩევნები ახსენეთ, როგორც ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა. კალაძე სად ეწერება ამ ყველაფერში? „ოცნება“ თბილისის მერის პოსტზე ახალ კანდიდატს შეარჩევს?***

– თუ კალაძის პიროვნული რეიტინგიდან ამოვალთ, მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ კალაძე არ უნდა ჩაანაცვლოს სხვა ფიგურით. კალაძის რეიტინგი იძლევა იმის საშუალებას, რომ მას დაუჭიროს „ოცნებამ“ მხარი და კვლავ ის წარადგინოს. თან, ამ რეიტინგს, სავარაუდოდ, კიდევ გაზრდის თავისი აქტიური ბუნებიდან გამომდინარე. ისე, სიმართლე გითხრათ, რთულად ასახსნელი იქნებოდა კალაძის სხვა კანდიდატით ჩანაცვლება. თუმცა, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს „ოცნება“.

***– თუმცა, სულ ვრცელდება ხმები კალაძის დამოუკიდებლად გასვლაზე.***

– თუ კალაძე ამ გადაწყვეტილებას მიიღებს და ის შეიცვლის პოლიტიკურ არენას, შეიძლება ეს წამგებიანი აღმოჩნდეს მისთვის. ის დღეს არის დედაქალაქის, მილიონნახევრიანი თბილისის პირდაპირი გზით არჩეული მერი. ამის იქით რაღა უნდა იყოს?! თან, ჯერ ძალიან ბევრი მიმართულებით დასალაგებელია ბევრი რამ როგორც ქართულ პოლიტიკაში, ისე „ქართულ ოცნებაში“. ჯერ ეს მოზაიკა მხოლოდ ახლა იხატება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მე ვფიქრობ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პროცესები ჯერ კიდევ წინ არის.

# ნატო საქართველოსა და უკრაინას იახლოებს

## რას მოუტანს რეგიონს აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობების გართულება

მარიამ მჭედლიშვილი

**ნატოს წევრ სახელმწიფოებს — აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობის გართულება უფრო დაამძიმებს სამხრეთ კავკასიაში შექმნილ რთულ რეალობას.**
**აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენის მხრიდან 106 წლის წინანდელი სომეხთა გენოციდის ოფიციალურად აღიარებამ გაანაწყენა ბრალდების ადრესატი თურქეთი.**

მანამდე, ერთი დღით ადრე, საქართველო და უკრაინა თურქეთის მონაწილეობით ნატოს ერთ-ერთ ფორმატში ჩართეს. ფაქტობრივად, ესაა ახალი სტატუსი ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე წევრობის გარეშე.

23 აპრილს ბუქარესტში გაიმართა ნატოს სამი წევრი სახელმწიფოს – თურქეთის, პოლონეთისა და რუმინეთის ტრადიციული სამიტი გაფართოებული შემადგენლობით. მასზე პირველად მიიწვიეს საქართველოსა და უკრაინის საგარეო მინისტრები. სამიტი 2012 წლიდან არსებობს და ნატოს ამოცანებს ემსახურება.

სამეულმა განაცხადა, რომ ადასტურებს საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერას მათი ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის, სევერენიტეტის, ასევე ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ.

– ეს უბრალოდ მოწვევა არ არის. ესაა პოლიტიკური სიგნალი და და კონკრეტული მოქმედება უკრაინის მხარდასაჭერად ამ საგანგებო მომენტში. უკრაინა და საქართველო შავი ზღვის რეგიონში საკვანძო პარტნიორები არიან. ისინი წარმოადგენენ რეგიონის უსაფრთხოებისა და აყვავების ფორმულის ნაწილს, – აცხადებს უკრაინის საგარეო მინისტრი დმიტრი კულება.

– ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენეთ ვიზიტი ბუქარესტში იმისთვის, რომ ჩვენი პარტნიორებისათვის დეტალურად მიგვეწოდებინა ჩვენი ხედვა რეგიონში მიმდინარე პროცესებზე იმ საფრთხეებიდან გამომდინარე, რომელიც მოდის ოკუპირებული ტერიტორიებიდან ახალი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ასევე ჩვენს სამომავლო გეგმებზე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით, – აღნიშნა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დავით ზალკალიანმა.

მისივე ინფორმაციით, მალე გაიმართება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი. თურქეთის, პოლონეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები მხარს უჭერენ საქართველოსადმი დიფერენცირებულ მიდგომას. ისინი აღიარებენ, რომ საქართველო ამჟღავნებს პროგრესს და იმსახურებს ხელშესახებ შედეგებს.

ფორმატში ჩართვა თავისთავად მოასწავებს თანამშრომლობის გაღრმავებას. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში იგეგმება თურქეთის პრეზიდენტის, ერდოღანის ვიზიტი. შესაძლოა, ეს ვიზიტი ამ ფორმატს არ უკავშირდებოდეს. თარიღი დაზუსტებული არაა.

თურქეთ-ამერიკის ურთიერთობაში ბზარის გაჩენა არ იმოქმედებს თბილისისა და კიევის მიმართ ჩამოყალიბებულ პოზიციაზე. ანკარა მხარს უჭერს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობასა და ევროატლანტიკურ სწრაფვას და წესით, ეს მიდგომა არ უნდა შეიცვალოს.



თურქეთს უკრაინის გამო რუსეთთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. რუსეთი იმუქრება, რომ თუ თურქეთი მიჰყიდის უპილოტო საფრენ აპარატებს უკრაინას, ის გადახედავს სამხედრო სფეროში თანამშრომლობას თურქეთთან. ასევე, მოსკოვმა თურქეთის მიმართ დააწესა შეზღუდვები ტურიზმის სფეროში.

თურქეთი რუსეთისგან იძენს ანტისარაკეტო სისტემა ს-400-ს. ამის გამო ანკარა გარიცხეს დასავლეთის ეფ-35-ის გამანადგურებლების სისტემიდან. თურქეთმა ამაში პოზიტივი დაინახა და აღნიშნა, რომ ეროვნული თავდაცვის მრეწველობას განავითარებს.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინის საზღვართან მობილიზებული ჯარი უკან დააბრუნა, უკრაინა-რუსეთის ფართომასშტაბიან ომზე აღარ საუბრობენ.

ამასთან, ვაშინგტონში გრძელდება დისკუსია უკრაინის პრობლემებზე. ეს მოვლენები მოქმედებს საქართველოზე.

ექსპერტების ერთი ნაწილი ამერიკის ადმინისტრაციას მოუწოდებს გააგრძელოს და გააძლიეროს სამხედრო დახმარება უკრაინისადმი. მათი თქმით, უკრაინა დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების წინა ხაზზეა. სხვა ექსპერტები აცხადებენ, რომ საჭიროა სიფრთხილე – დასავლეთი უკრაინას ეკონომიკურად და პოლიტიკურად უნდა დაეხმაროს, ამასთან, დაარწმუნოს მოსკოვი, რომ უკრაინას ნატოში არ მიიღებენ.

ფრანგი მიმომხილველების აზრით, პუტინს აშინებს არა ამერიკის ბირთვული არსენალი და ეკონომიკური სანქციები, არამედ, ფერადი რევოლუცია. რუსულ ფსბ-ს ყველაზე მეტად არაძალადობრივი მოძრაობები აღელვებს. რუსეთის სპეცსამსახურები აქტივისტების წინააღმდეგ იყენებენ რეპრესიებსა და კონტრპროპაგანდას. დაპატიმრებული ნავალნის მიმართ სოლიდარობა გაუჩნდათ მის მიმართ ცუდად განწყობილ მოქალაქეებსაც კი. პუტინმა დაიკანონა ძალაუფლება 2036 წლამდე. ავტორების აზრით, ეს ყველაფერი ეკონომიკურ და სანიტარულ კრიზისთან ერთად რუსეთში მოიტანს დაუგეგმავ სახალხო აფეთქებას.

ამ ეტაპზე მოსალოდნელია დასავლეთსა და რუსეთს, ასევე დასავლეთსა და ჩინეთს შორის კონფლიქტების გაგრძელება. უეჭველია, რომ კონკურენცია და ბრძოლა გაგრძელდება სამხრეთ კავკასიაში. განსაკუთრებით – საქართველოში, რომელიც მეტ-ნაკლებად მოიაზრება დასავლეთის საყრდენად. თუმცა, აქ ისევ აქტიურია რუსეთი.

# ანრი ოხანაშვილი: „ამნისტიის აქტში კონვენციური სტანდარტი დაცული იქნება“



– ვერც ერთი პოლიტიკოსი, რომელსაც, სავარაუდოდ, მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, სხვა პირთან, თუნდაც პოლიციელებთან მიმართებაში, პრივილეგირებული ვერ იქნება – სტანდარტი ყველასთვის ერთიანი იქნება.

ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა ჟურნალისტებს, 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეებზე ამნისტიის პროექტთან დაკავშირებით განუცხადა.

ოხანაშვილის ინფორმაციით, ევროკავშირის ოფისში გამართულ შეხვედრაზე მხარეებს შორის გაიცვალა პოზიცია ამნისტიის აქტში დაზარალებულთა თანხმობის ჩადების საკითხზე.

მან აქვე დასძინა, რომ თუკი საუბარია ახალი ფურცლის გადაფურცვლაზე, ეს ყველას ამნისტირებას ნიშნავს. ამასთან, ოხანაშვილი ხაზგასმით ამბობს, რომ ამნისტიის აქტის მიღებისას კონვენციური სტანდარტი დაცული იქნება.

– ეს არის წამება, არაადამიანური მოპყრობა, დამამცირებელი მოპყრობა – თუ დადგინდა, რომ ვინმემ ასეთი დანაშაული ჩაიდინა, რა თქმა უნდა, ამნისტია არ შეეხება. კონვენციური სტანდარტი დაცული იქნება, თუმცა გავრცელდება ყველაზე და ყველაფერზე, როგორც ეს შეთანხმების ტექსტში წერია. აქამდე ცდილობდნენ, შეთანხმება არ შემდგარიყო. არავის მივცემთ მიღწეული შეთანხმების ჩაშლის საშუალებას. ამნისტია უნდა გამოიცეს. ამნისტია გამოიცემა და გავრცელდება ყველაზე – ყველა პირზე და ყველა დარღვევაზე თანაბრად, გარდა კონვენციური მიდგომისა, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

# „კომპანიები პანტა-პუნტით იხურება, ბანკების მოგება კი ძალიან იზრდება“



– საინტერესოა, რამდენმა კომპანიამ შეძლო ორი „ლოკდაუნის“ გადატანა?! ამ სტატისტიკას რატომ არავინ გვეუბნება?! დღეს კომპანიები პანტა-პუნტით იხურება და სასამართლოებში აქვთ დავები.

ამის შესახებ „აი-სი-არ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კახა ხაზარაძემ რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

მისი თქმით, დამატებითი შეზღუდვებისა და მესამე ტალღის მოლოდინში, წლევანდელი წელი ეკონომიკურად ბევრად რთული იქნება, ვიდრე შარშანდელი.

– წლევანდელი წელი ეკონომიკურად ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე შარშანდელი და ამ არსებულ სიტუაციაში ჩვენ პერსპექტივასაც ვერ ვხედავთ. ტურისტის ჩამოყვანაზეა საუბარი და ვაქცინა არ გვაქვს. ძალიან ბევრი პრობლემაა ქვეყანაში და როდესაც ამ პრობლემების ფონზე კიდევ დახურულ ოთახში ხდება რაღაც გადაწყვეტილებების მიღება და მერე ბიზნესისთვის ამის მიწოდება, ეს მხოლოდ დააზიანებს ზოგადად ქვეყნის პერსპექტივას და ეკონომიკას.

საინტერესოა, რამდენმა კომპანიამ შეძლო ორი „ლოკდაუნის“ გადატანა?! ამ სტატისტიკას რატომ არავინ გვეუბნება?! კომპანიები პანტა-პუნტით იხურება და სასამართლოებში აქვთ დავები. უკვე კერძო სექტორმა დაიწყო ერთმანეთში დავების განხილვა, იმიტომ, რომ მოლაპარაკების მაგიდასთანაც ვეღარ ჯდებიან, ყველას თავისი პრობლემა აქვს.

ბანკების მოგება კატასტროფულად გაზრდილია მარტში. როგორ შეიძლება ფინანსურ სექტორში ბანკს მოგება ეზრდებოდეს, როდესაც ეკონომიკა არ მუშაობს და ერთადერთი შემოსავალი საპროცენტო შენატანებიდან აქვთ მიღებული.

ძალიან ბევრი არაადეკვატური რაღაც ხდება და ამაზე რეალურად არავინ საუბრობს. შესაბამისად, ხვალ ამის მართვის სურვილიც რომ გაგვიჩნდეს, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება, – განაცხადა კახა ხაზარაძემ.

# „ვიღაც კაცი თოფით ხელში და ჩხუბით მოდიოდა“

## აბასთუმანში 1 კაცი მოკლეს, 1 დაჭრეს



23 აპრილს აბასთუმანში, მდინარე კურცხანასთან, სადაც შემოვლითი გზა შენდება, დაპირისპირება მოხდა.

შემთხვევის შედეგად ერთი პირი დაიჭრა, მეორე კი გარდაიცვალა.

დაჭრილი ახალგაზრდა ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს, გარდაცვლილს კი აბასთუმნის ფილტვის ცენტრში ექსპერტიზა ჩაუტარდა.

– შემოყვანილია 35 წლამდე ახალგაზრდა, რომელსაც მხრის არეში თოფით აქვს მიყენებული ჭრილობა, ამჯერად სხვას ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა ახალციხის ჰოსპიტლის კლინიკური მენეჯერმა ბესო ბურჯალიანმა.

კლინიკასთან მობილიზებული იყვნენ პოლიცია და დაჭრილის ახლობლები.

– 112-ის მიერ შემოყვანილია პაციენტი. აღენიშნებოდა ცეცხლსასროლი ჭრილობა მარჯვენა იდაყვის და მხრის არეში. ჭრილობა არის შემავალი და გამჭოლი. რენტგენოგრაფიით ძვლის დაზიანება არ დგინდება, ჩაუტარდა ქირურგიული მომსახურება, – განაცხადა კლინიკის ქირურგმა შოთა ქუფარაშვილმა.

მისივე თქმით, პაციენტი კლინიკაში 14:05 საათზე შეიყვანეს.

დაჭრილის მეუღლე ამბობს, რომ მათთვის უცნობია პირი, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლა.

– ჩემ მეუღლესთან საუბრის შესაძლებლობა არ მომეცა, გამომძიებელს უთხრა, რომ 500 მეტრის მოშორებით დაინახა, რომ ვიღაც იარაღით ხელში და ჩხუბით მოდიოდა. გვერდზე მდგომს [გარდაცვლილს] უთხრა, დაწექიო, მაგრამ ვერ მოასწრო, თავად ტყვია ხელზე მოხვდა. რადგან შორს იყო ის პიროვნება, სახეზე ვერ დაინახა, – უთხრა „სამხრეთის კარიბჭეს“ დაჭრილის მეუღლემ.

მეუღლისთვის სამსახურში ეს პირველი დღე იყო: „სამუშაოებს ზედამხედველობდა და დღეს გეოდეზიტებს ელოდებოდნენ.“

დაჭრილი ადიგენში, სოფელ არალში ცხოვრობს, გარდაცვლილი ახალგაზრდა ახალციხელია. მკვლელობაში ბრალდებული კი, როგორც ადგილობრივები აცხადებენ, დაბა აბასთუმნის მკვიდრია.

მოკლული ჯეო-გრუპის თანამშრომელია, რომელიც მშენებლობაზე იყო დასაქმებული.

სავარაუდო დამნაშავეები კი ამავე კომპანიაში მომუშავე ძმები არიან. მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით სამშენებლო ობიექტზე, შესვენების დროს მოხდა, რასაც 35 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მშენებლობაზე დასაქმებულები ამბობენ, რომ ტრაგიკულ შემთხვევას წინ უთანხმოება უძღოდა.

– ერთმანეთში ჰქონდათ გაუგებრობა, რაღაცაზე ვერ მორიგდნენ. მშრომელი ხალხი იყო. ჩვენთან მუშაობდნენ, ჭრიდნენ მორებს, – განაცხადა ჯეო-გრუპის თანამშრომელმა.

# გახარიას დამფინანსებელი კონრად ბაბუნაშვილი ხელისუფლებამ მოწამლა

კომპანია ეპიკ ამბასადორის აღმასრულებელი დირექტორი, კონრად ბაბუნაშვილი შაბათის ფორმულასთან ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ ის და მისი პარტნიორი ლიკვიდაციის მიზნით მოწამლეს.

ბაბუნაშვილი იმ კომპანიის დირექტორია, რომელიც გიორგი გახარიას კამპანიას დააფინანსებს.

მისი მტკიცებით, სისხლში ჰემოფილიის სამკურნალო პრეპარატი აღმოუჩინეს, რის გამოც მას თრომბი განუვითარდა. ბიზნეს და პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული პირი ამბობს, რომ სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. ის ეჭვობს, რომ მის მოწამვლასთან ხელისუფლების პირველი პირები არიან კავშირში და ეს მისი ლიკვიდაციის მიზნით დაიგეგმა.

ბაბუნაშვილი ღიად საუბრობს, რომ მისი მკვლელობა თბილისში ხელისუფლების დახმარებით, რუსულმა სპეცსამსახურებმა დაგეგმეს.

12 აპრილს იგივე სიმპტომებით მედიკოსებს მისმა პარტნიორმაც მიმართა. ექიმებმა ახალგაზრდა კაცს თრომბოზის დიაგნოზი დაუსვეს. პირი, რომელსაც საკუთარი ვინაობის გასაჯაროება არ სურს, ასევე დარწმუნებულია, რომ მისი დიაგნოზი შემთხვევითი არ არის და ისიც მოწამლეს. სისხლის ანალიზის პასუხს, რომელიც მის ვერსიას დაამტკიცებს, ის უახლოეს დღეებში უცხოეთიდან ელოდება.

შაბათის ფორმულამ ინფორმაცია ბოხუას კლინიკაში გადაამოწმა, სადაც ეპიკ ამბასადორის აღმასრულებელ დირექტორს ოპერაცია გაუკეთეს. მისი მკურნალი ექიმი აცხადებს, რომ ქირურგიული ჩარევის გადადება, პაციენტისთვის ლეტალურად დასრულდებოდა.

ეპიკ ამბასადორის ხელმძღვანელები ყვებიან, რომ მუდმივი თვალთვალის ობიექტები არიან.



მათ საცხოვრებელ სახლებთან თუ გადაადგილებისას, ბოლო რამდენიმე თვეა, საეჭვო გარემოებებს ამჩნევენ.

# საქართველოს და ლიეტუვის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის მემორანდუმი გაფორმდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ვიდეოკონფერენციის ფორმატის შეხვედრა გამართა ლიეტუვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრთან, აგნე ბილოტაიტესთან.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობას 2021-2022 წლებში.

შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ დოკუმენტით განსაზღვრულ სფეროებში, როგორიც არის: საგანგებო სიტუაციების მართვა, პროფესიული განათლება, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, საგზაო უსაფრთხოება და სხვ., თანამშრომლობას განახორციელებენ საერთო პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის, გამოცდილებისა გაზიარების, სამუშაო ვიზიტებისა და ტრენინგების ორგანიზების გზით.

შეხვედრაზე აღინიშნა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები და ლიეტუვის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ევროკავშირსა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართ.

ვიდეოკონფერენციაში ასევე მონაწილეობა მიიღეს ლიეტუვის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა, ლევან ღვაჩლიანმა და საქართველოში ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩმა, ანდრიუს კალინდრამ.

# გურამ ბარბაქაძე: „ჩემს შვილს თავი არ მოუკლავს“

წვევამდელების მიმართ არაადამიანური მოპყრობის საქმეში პოლიციის კიდევ ერთი ოფიცერი ფიგურირებდა, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მესამე პირი, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ არის, პოლიციის ოფიცერი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაისუბნის მკვიდრი, 45 წლის მერაბ ბარბაქაძეა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბარბაქაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაახლოებით, ერთი თვის წინ დაასრულა. მან თავი სამსახურებრივი იარაღით საკუთარ ეზოში, უცნობი პირის სატელეფონო ზარის შემდეგ მოიკლა. ოჯახის წევრები საქმეში ბარბაქაძის მონაწილეობას გამორიცხავენ და არც თვითმკვლელობის ვერსიის სჯერათ.

გარდაცვლილის მამა გურამ ბარბაქაძე ამბობს, რომ მისი შვილი საქმეზე გამოკითხული იყო.

– ის რამდენჯერმე გამოკითხეს და არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. ადგილზე, სადაც თითქოს თვითმკვლელობა მოხდა, არც მასრაა ნაპოვნი და არც არაფერი. დაკრძალვაზე ჩამოსულები იყვნენ მისი ხელმძღვანელები, რომლებმაც გვითხრეს, რომ მას დანაშაული არ მიუძღვის. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ეს სულაც არ იყო თვითმკვლელობა, – ამბობს გურამ ბარბაქაძე.

გამოძიება ბარბაქაძის თვითმკვლელობის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს.

წვევამდელების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე კი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა, შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი 21 აპრილს დააკავა

გამოძიების მტკიცებით, ორმა ოფიცერმა გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, კანონით აკრძალული დასჯის მეთოდები გამოიყენა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

# 17 წლის მარიამ ბურჭულაძე მამას ძალადობაში ადანაშაულებს

## რატომ წავიდა გოგონა სახლიდან

ოზურგეთიდან დაკარგული 17 წლის მარიამ ბურჭულაძის საქმეზე ახალი დეტალები ხდება ცნობილი. საქმეზე გამოძიების მუხლი შესაძლოა ძალადობით გადაკვალიფიცირდეს.

23 აპრილს ცნობილი გახდა არასრულწლოვანის ჩვენება, სადაც ბავშვი წერს, რომ მამა მასზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა, ასევე, იხსენებს, რომ მამამ ტელეფონი დაუმტვრია.

დედა ფაქტს უარყოფს.

– გამორიცხულია, არაფერი ძალადობა ოჯახში არ ყოფილა. ყველაფერი ნორმალურად იყო. მამა-შვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ბავშვს ზედ ყვებოდა, რატომ წავიდა, ვერ გეტყვი. ძალადობა არ ყოფილა არასდროს, გამოვრიცხავ, – ამბობს მარიამ ბურჭულაძის დედა ია სურმანიძე.

შეგახსენებთ, რომ ოზურგეთიდან დაკარგულ 17 წლის გოგოს 3 დღის განმავლობაში ეძებდნენ. ის თბილისში 21 აპრილს იპოვეს.

პოლიციამ დაკითხა მოსწავლეები და სკოლის მასწავლებლები, რომლებსაც მარიამ ბურჭულაძესთან ჰქონდათ შეხება.

# ქართველი კანონიერი ქურდი დავით სებისკვერაძე საბერძნეთის ციხეში გარდაცვლილი ნახეს

ქართველი კანონიერი ქურდი დავით სებისკვერაძე საბერძნეთის ციხეში გარდაცვლილი ნახეს.

დავით სებისკვერაძემ სამი დღის წინ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 67 წლის იუბილე აღნიშნა. ოფიციალური ინფორმაციით, ქართველი პატიმარი კიბოს დიაგნოზით გარდაიცვალა.

ცნობისთვის: 2017 წელს ათენის სასამართლომ სებისკვერაძეს, ქართული მაფიის სხვა წევრებთან ერთად, 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა და ფულის გათეთრება ედებოდა ბრალად.

# გუდაურის საბაგიროს ავარიის საქმეზე 3 წლის მერე 2 პირს ბრალდება წარუდგინეს

საქართველოს პროკურატურამ, 2018 წლის 16 მარტს გუდაურში, ე.წ „საძელე“-ს მთაზე მომხდარი საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესის დარღვევის შედეგად მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მემანქანე-ოპერატორებს ვ.ო.-ს და ლ.წ.-ს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა გუდაურში ე.წ „საძელე“-ს მთაზე განთავსებული საბაგირო გზა ელექტროენერგიის ძაბვის ვარდნის შედეგად, ავარიულად გაჩერდა.

საბაგირო გზის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელმა პირებმა – შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ თანამშრომლებმა – ვ.ო.-მ და ლ.წ.-მ დაარღვიეს საბაგირო ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესი და ვერ უზრუნველყვეს მისი უსაფრთხო მართვა, რის შედეგადაც საბაგიროს ხუთმა მგზავრმა ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღეს.

პროკურატურამ ვ.ო.-ს და ლ.წ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილით (საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც მოქალაქეთა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანებები გამოიწვია) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.150 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1 150 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 117 პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 896 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 137 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.



პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

# შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს ნაწარმის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქალაქ თბილისში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უაქციზო თამბაქოს ნაწარმის მართლსაწინააღმდეგო შენახვისა და გადაზიდვის 3 ფაქტი (ჯამში 4 კილოგრამი უაქციზო თუთუნი და 620 კოლოფი უაქციზო თამბაქოს ნაწარმი) გამოავლინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ უაქციზო საქონელი და სამივე ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552 მუხლის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. საქმის მასალები სასამართლოს ქვემდებარეობის მიხედვით გადაეგზავნა“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

2021, 26 აპრილი, №71



# ჯო ბაიდენი: „ვიხსენებთ მათ, ვინც ოსმალეთში სომხების გენოციდის დროს დაიღუპა“



ჯო ბაიდენმა ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხეთა შევიწროებას გენოციდი უწოდა. ოსმალეთის იმპერიაში 1915-1923 წლებში ჩადენილ სომეხთა მასობრივი მკვლელობის ხსოვნის დღესთან დაკავშირებით, აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება თეთრმა სახლმა გაავრცელა.

„ამ დღეს ჩვენ ვიხსენებთ მათ, ვინც ოსმალეთის ეპოქაში სომხების გენოციდის დროს დაიღუპა და ვიღებთ ვალდებულებას, რომ მომავალში თავიდან ავიცილებთ მსგავს სისასტიკის განმეორებას. 1915 წლის 24 აპრილიდან დაიწყო სომეხი ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ლიდერების დაკავება. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ მილიონნახევარი სომეხი დეპორტირებული და მოკლული იყო. ისინი კი, ვინც გადარჩა, იძულებული გახდნენ, ახალი სახლი და საცხოვრებელი ეპოვათ მსოფლიოში, მათ შორის შეერთებულ შტატებში. ათწლეულების განმავლობაში, სომეხმა იმიგრანტებმა მრავალგზის გაამდიდრეს შეერთებული შტატები, თუმცა ჩვენ არ დაგვიწყებია ტრაგიკული ისტორია, რომელიც მათმა წინაპრებმა ჩვენს ნაპირებთან მოიტანეს“ – განაცხადა ჯო ბაიდენმა.

აშშ-ის 46-ე პრეზიდენტის გამოსვლა ლოს ანჯელესის სომხურმა სათვისტომომ მრავალათასიანი მშვიდობიანი აქციით აღნიშნა. არმენ სარქისიანმა კი ამერიკელი კოლეგის გადაწყვეტილებას შთამაგონებელი უწოდა და სომეხი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა.

– მადლობა, ბატონო პრეზიდენტო. სომეხთა გენოციდის აღიარება გაბედული და შთამაგონებელი ქმედებაა. ის მნიშვნელოვანია სომეხი ერისთვის და ყველასთვის, ვინც მსოფლიოში სამართლიანობისკენ ისწრაფვის. ის ხსნის ახალ პერსპექტივებს აშშ-ისა და სომხეთის ურთიერთობებისთვის. ის ასევე მსოფლიოს უკეთეს ადგილად აქცევს! – განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა არმენ სარქისიანმა.

თურქეთში თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სომეხი ლობისტების ზეწოლით ხსნიან. აშშ-ის ელჩი თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს.

– აშშ-ის ხელისუფლება უგულებელყოფს ისტორიას და ლობისტების მოთხოვნებს ემორჩილება, ეს არის უკიდურესად სამწუხარო და სევდიანი დღე თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში. 1915 წლის მოვლენებისადმი აშშ-ის დამოკიდებულება არ ეფუძნება ისტორიულ ფაქტებს და მხოლოდ ლობისტურ საქმიანობას ასახავს, – ამბობს თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომუნიკაციების დირექტორი ფაჰრეთინ ალთუნი.

შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას მიესალმებიან სომხეთში, 24 აპრილის ღამით ერევნის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა.

ბაიდენის გადაწყვეტილებას ახალი კრიზისის დასაწყისად აფასებენ თურქეთში, ადგილობრივ საზოგადოებას მიაჩნია, რომ ხისტი პოლიტიკური ნაბიჯები, ორი ქვეყნის ურთიერთობას საბოლოოდ შეიყვანს ჩიხში.

ბაიდენის სიტყვას ისტორიული შეცდომა უწოდა თურქეთის ახლო მოკავშირე აზერბაიჯანმა. ილჰამ ალიევის განცხადებით, ეს ნაბიჯი რეგიონში თანამშრომლობის ტენდენციებს სერიოზულად უთხრის ძირს.

## „დაიყვირა ალაჰ აკბარ და ქალ პოლიციელს ყელი გამოჭრა“

### მკვლელობა პარიზის მახლობლად

23 აპრილს საფრანგეთში თავდამსხმელმა პოლიციის განყოფილების შესასვლელთან პოლიციის ადმინისტრაციის ქალი თანამშრომელი დანით სასიკვდილოდ დაჭრა. შემთხვევა პარიზის მახლობლად, ქალაქ რამბუიეში მოხდა.

სავარაუდო თავდამსხმელი ტუნისიდან იყო წარმოშობით და საფრანგეთში ლეგალურად ცხოვრობდა. ის პოლიციელების მხრიდან გახსნილი ცეცხლის დროს დაიღუპა.

მომხდარზე გამოძიება საფრანგეთის ეროვნულმა ანტიტერორისტულმა სამსახურმა დაიწყო. მომხდარს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟან კასტექსმა ტერორისტული თავდასხმა უწოდა. პარიზის რეგიონის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ტერორისტული მოტივი არ გამოირიცხება.

თავდამსხმელმა ტერიტორია წინასწარ შეამოწმა, შემდეგ კი თავდასხმისას დაიყვირა „ალაჰ აკბარ“ და ქალს დანა ყელში ორჯერ ჩაარტყა.

## ბაღდადის კოვიდკლინიკაში ჟანგბადის ბალონი აფეთქდა

### 82 ადამიანი დაიღუპა

ერაყის დედაქალაქ ბაღდადში, ერთ-ერთი კლინიკის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, სადაც კოვიდინფიცირებული პაციენტები მკურნალობდნენ, აფეთქება მოხდა.

განყოფილებაში ჟანგბადის ბალონი აფეთქდა, რასაც ძლიერი ხანძარი მოჰყვა.

ხანძრის შედეგად სულ მცირე 82 ადამიანი დაიღუპა.

გამოცემის ინფორმაციით, საავადმყოფოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა არ ჰქონდა, რის გამოც ცეცხლი სწრაფად გავრცელდა.

შემთხვევის შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი დაშავდა. რამდენიმე მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია.

## ინდონეზიაში წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის წევრების ცხედრები იპოვეს

ინდონეზიის კუნძულ ბალისთან 21 აპრილს გაუჩინარებული სამხედრო წყალქვეშა ნავის ნამსხვრევები იპოვეს.

კატასტროფას წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის ყველა წევრი – 53-ვე სამხედრო ემსხვერპლა.

გემი სამ ნაწილად დაიშალა. იქამდე კი მყვინთავებმა წყალქვეშა ნავის არაერთი ფრაგმენტი იპოვეს. ინდონეზიის სამხედრო წყალქვეშა ნავი, რომლის ბორტზეც 53 ადამიანი იმყოფებოდა, ოთხშაბათს გაუჩინარდა.

ის კუნძულ ბალისთან სასწავლო წვრთნებს ატარებდა. კატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### სპორტი

## ოთხთა ფინალის სამი მონაწილე ცნობილია

**ცხუმ აფხაზეთი-ტიტები 90:85**
**(22:16, 30:24, 20:21, 18:24)**

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალური სერიის საპასუხო მატჩების შემდეგ, ოთხთა ფინალის სამი მონაწილე ცნობილია. ერთი შეხვედრა, რომელშიც თსუ და ოლიმპი უნდა დაპირისპირებულიყვნენ, კოვიდ-რეგულაციის გამო გადაიდო.

დედაქალაქში ცხუმ-აფხაზეთმა 90:85 დაამარცხა ტიტები და ოთხთა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ცხუმელებს მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა 10 ქულით ჰქონდათ მოგებული და შესაბამისად, ამაზე მეტით არ უნდა წაეგოთ. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ გუნდს, რომელმაც სუპერლიგის რეგულარულ ჩემპიონატში მე-3 ადგილი დაიკავა, არც ამჯერად გასჭირვებია ტიტების ძლევა. ცხუმ-აფხაზეთის მოთამაშეებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და თამაშის ბოლომდე ლიდერობა ხელიდან არ გაუშვიათ.

გამარჯვებულებს 24 ქულით ალექსანდრე ფევაძემ ულიდერა. 15 ქულა ჯოშუა მაკფოლმა, ხოლო 12 – რაჰიმ ჯონსონმა მიითვალა. ტიტებში 29 ქულით საუკეთესო იყო ტაილან ბირტსი. 15 ქულა აკაკი ლომოურმა, 14 კი, დავით ლომიძემ მიითვალა.

**ქუთაისი-დინამო 101:98**
**(21:25, 28:30, 23:14, 29:29)**

დინამოს თბილისში სერიის პირველი მატჩი 4 ქულით ჰქონდა წაგებული და ქუთაისში, საპასუხო შეხვედრაში ამაზე მეტსაც იგებდა, მაგრამ საბოლოოდ სასურველი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და 3 ქულით – 98:101 დამარცხდა.

ქუთაისი ოთხთა ფინალში გავიდა და ნახევარფინალში ცხუმ-აფხაზეთს შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ოთხთა ფინალის ეგიდით, ნახევარფინალები და ფინალიც ერთმატჩიანი იქნება.

**რუსთავი-კაკტუსი 88:81**
**(23:22, 27:14, 11:25, 27:20)**

ანატოლი ბოისას გაწვრთნილ გუნდს სერიის პირველი შეხვედრა 8 ქულით ჰქონდა მოგებული და საპასუხო მატჩშიც დამაჯერებლად იგებდა. მესამე პერიოდის მე-3 წუთზე ქვემოქართლელები 20 ქულით (58:38) ლიდერობდნენ, თუმცა მომდევნო 6-წუთიანი მონაკვეთი 0:23 წააგეს და 58:61 ჩამორჩნენ.

მასპინძელთა მწვრთნელმა, ანატოლი ბოისამ წუთშესვენება არ აიღო, მესამე პერიოდის დარჩენილი 1 წუთი ჩაამთავრა და ბოლო ათწუთეულიდან რუსთაველებმა ხელახალი ძალებით შეუტიეს და თამაშიც მანამდელ, სათავისო კალაპოტს დაუბრუნეს. საბოლოოდ ქვემოქართლელებმა 88:81 მოიგეს და თასის გათამაშების ოთხთა ფინალის საგზური მოიპოვეს.

რუსთავი მეტოქეს თსუ-ოლიმპის წყვილიდან ელის.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## ძაღლებმა სახლში შესული დათვი გააგდეს და პატრონი გადაარჩინეს



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ პასადინაში ორმა ძაღლმა სახლში შეჭრილი დათვი აიძულა, გაქცევით ეშველა თავისთვის, რითიც პატრონი გადაარჩინეს.

სანამ ქალი სასტუმრო ოთახში თვლემდა, სახლთან ახალგაზრდა შავი დათვი გამოჩნდა. მან ეზო გაიარა, შადრევნიდან წყალი დალია, შემდეგ კი ძაღლებისთვის ღიად დატოვებული კარიდან თავი სამზარეულო ოთახში ამოყო.

მისი გასეირნება სახლის ბინადარმა ტერიერებმა მეი-მეიმ და სკვირტმა შეწყვიტეს. ისინი ხმამაღალი ყეფით გამოიჭრნენ მეორე ოთახიდან და დათვს შეუტიეს. ცხოველმა სახლი დატოვა და ეზოში გავიდა, მაგრამ ძაღლებმა არც იქ მოასვენეს. საბოლოოდ ისინი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდნენ, რაც დათვმა ეზოც დატოვა და გაიქცა.

ძაღლების ყეფაზე მათ პატრონ ქალს გაეღვიძა.

– მეი-მეი ჩემს ფეხებთან იწვა, როდესაც უცბად წამოხტა და გავარდა, შემდეგ კი საშინლად აყეფდა. მას სკვირტიც აჰყვა, – იხსენებს ქალი, – მათი ყეფის მიხედვით მივხვდი, რომ რაღაც ხდებოდა და კარი უნდა დამეხურა.

ამ აურზაურის მიზეზი ქალმა მოგვიანებით შეიტყო, როდესაც სათვალთვალო კამერების ჩანაწერი ნახა.

## ჭიანჭველისა და შხამიანი გველის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს

ავსტრალიელმა ბიზნესმენმა ჭიანჭველისა და შხამიანი ყავისფერი გველის გააფთრებული დაპირისპირება ვიდეოზე გადაიღო.

ვიდეოს ავტორი, 37 წლის სეტ ემერი, თავის ორ შვილთან და მეგობრებთან ერთად სამხრეთ ავსტრალიის შტატში კემპინგში ისვენებდა. სეირნობის დროს მისმა შვილებმა შენიშნეს, თუ როგორ დაესხა თავს გველის წიწილი საკმაოდ მოზრდილ ჭიანჭველას. მწერი ქვეწარმავალს თავში ჩააფრინდა, ის კი მის მოშორებას ვერ ახერხებდა.

– ბავშვები მაშინვე მოვაშორე იმ ადგილს, ვინაიდან ვიცი, რომ გველების უმრავლესობა მეტად სახიფათოა, თავად კი მათ ორთაბრძოლას თვალს ვადევნებდი, – განაცხადა ემერიმ. მან დაამატა, რომ მწერი დიდხანს არ ეშვებოდა გველს, თუმცა საბოლოოდ ორთაბრძოლის ორივე მონაწილე ცოცხალი დარჩა.

ავსტრალიელის ვარაუდით, გველი ჭიანჭველების ბუდესთან მეტისმეტად ახლოს მივიდა, ამან კი მათი მხრიდან აგრესიის პროვოცირება მოახდინა.

## ემუმ ქალს ყურიდან ძვირფასი საყურე ააცალა და გადაყლაპა



ავსტრალიის ქალაქ სიდნეის ზოოპარკში ემუმ დამთვალიერებელ ქალს, რომელიც მასთან სელფის გადაღებას ცდილობდა, ყურიდან ძვირფასი საყურე ააცალა და გადაყლაპა.

აშნა ალი ზოოპარკში სეირნობდა და გადაწყვიტა, სირაქლემა ემუსთან, სახელად ბერტთან, ფოტოსურათი გადაეღო. როდესაც ქალი ფრინველისკენ დაიხარა სელფის გადასაღებად, ბერტმა ყურიდან ამოკორტნა და გადაყლაპა საყურე, რომლის ფასი 550 ავსტრალიურ დოლარს შეადგენს.

ქალის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე ჩანს, თუ როგორ აკვირდება ფრინველი მის ბრჭყვიალა სამკაულს, რომელიც რამდენიმე წამში მის კუჭში ამოყოფს თავს.

ქალმა მომხდარის თაობაზე ზოოპარკის თანამშრომლებს შეატყობინა. მათ ურჩიეს, დაახლოებით ერთ კვირაში დაბრუნებულიყო და თავის სამკაულს უკანვე მიიღებდა.

მთელი კვირა ზოოპარკის თანამშრომლები ფრინველის განავალს მასში სამკაულის აღმოჩენის მიზნით საგულდაგულოდ სინჯავდნენ, მაგრამ – უშედეგოდ.

– ვგონებ, ფრინველის კუჭმა საყურე გადაამუშავა და სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა მისი პოვნა, – განმარტა ზოოპარკის თანამშრომელმა კრის რივეტმა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ შემთხვევას ფრინველის ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ უმოქმედია, ვინაიდან ბუნებაში ემუ მუდმივად ყლაპავს ქვებსა და სხვა მყარ საგნებს. ზოოპარკის წარმომადგენლები საყურის დამამზადებელ ფირმას დაუკავშირდნენ და განაცხადეს, რომ მზად არიან, ახლის დასამზადებლად ფული გადაიხადონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქია




თბილისი ერთი წლის განმავლობაში წიგნის მსოფლიო დედაქალაქი იქნება. ინიციატივა იუნესკოს ეკუთვნის.

თბილისის მერიისა და იუნესკოს პროექტის „თბილისი – წიგნის მსოფლიოს დედაქალაქი“ ფარგლებში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოფენა „ქართული წიგნის სათავეები“ გაიხსნა.

– აღნიშნული გამოფენა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მწერლობა ნამდვილად გახლავთ მსოფლიო კულტურის მონაპოვარი, მისი, რაც შეიძლება, მეტი ადამიანისთვის გაცნობა კი ჩვენი ვალდებულებაა. თბილისის მერიისა და იუნესკოს პროექტის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ფარგლებში, დაგეგმილია არაერთი ღონისძიება, რომელიც მსოფლიოს თანამედროვე ქართულ მწერლობასაც გააცნობს, საგამომცემლო სფერო კი უფრო განვითარდება, – აღნიშნა იუნესკოს პროექტის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ დირექტორმა ნინია მაჭარაშვილმა.

გამოფენა ორნაწილიანია და ხელნაწერთა ცენტრის საცავებში დაცულ მნიშვნელოვან მასალას აერთიანებს. ღონისძიებას თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია დაესწრო.

– სახელმწიფო ენის დღე, თბილისის მერიამ საინტერესო ღონისძიებით აღნიშნა. დღევანდელი გამოფენა ამ დღის ერთგვარი გაგრძელებაა და მოხარული ვარ, რომ ჩვენს მოქალაქეებს და თბილისის სტუმრებს, საქართველოს ისტორიულ სიმდიდრეს ამ სახითაც წარმოვუდგენთ. ორ დღეში, თბილისი იუნესკოს პროექტის „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ მასპინძელი გახდება, რომლის ღირსეულად ჩატარების მისიაც თბილისის მერიას აქვს აღებული. მჯერა, რომ მომავალი წლის ამ დროისთვის, ჩვენი საზოგადოება, ჩვენი მომავალი თაობა, კიდევ უფრო იქნება დაახლოებული წიგნთან, – განაცხადა თბილისის მერის მოადგილემ ანდრია ბასილაიამ.

გამოფენის პირველი ნაწილი წარმოაჩენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებს, როგორც ქართული წიგნის ისტორიის სათავეს. მათ შორისაა: პირველი წერილობითი ფრაგმენტები, V-VIII საუკუნეების პალიმფსესტები, პირველი თარგმანები, ლიტერატურული თხზულებები, მედიცინის, იურისპრუდენციის, ასტროლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფია-კარტოგრაფიისა თუ ენციკლოპედიური ხასიათის ნააზრევის ამსახველი უნიკალური ხელნაწერები. გამოფენის ამ ნაწილში, ასევე, წარმოდგენილი იქნება ზომითა და ფორმით გამორჩეული ხელნაწერი წიგნებიც.

გამოფენის მეორე ნაწილი – „შეხვედრა კლასიკოსებთან – ავტოგრაფების სამყაროში“ წარმოგვიდგენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცულ, კლასიკური ნაწარმოებების ავტოგრაფებს. მათ შორისაა: იოანე შავთელის, ჩახრუხაძის, მოსე ხონელის, თეიმურაზ I, არჩილის, თეიმურაზ II, სულხან-საბა ორბელიანის, ბესიკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებების ხელნაწერები.

გამოფენის ფარგლებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო აქტივობები და ონლაინექსკურსიაც.

**გიორგი კეკელიძე, მწერალი, პოეტი:**

– გილოცავთ! თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქია! ეს იმ ცისფერყანწელების ოცნების ასრულებაცაა, თბილისის პოეზიის დედაქალაქად გამოცხადებას რომ ნატრობდნენ და მათი სურვილები და მერე ისინიც, საბჭოთა კავშირმა ჩაყლაპა და გაანადგურა.

საქართველოს დედაქალაქი მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე რუსთაველისფრად მოინიშნება, რუსთაველი კიდევ ისეთ სამყაროს გულისხმობს, სადაც ფერი მრავალია – თბილისი ხომ მრავალფეროვნებითაცაა დიდი და მნიშვნელოვანი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

### კალეიდოსკოპი

## კატას ციხეში ნარკოტიკები შეჰქონდა



პანამის პროვინცია კოლონის ხელისუფლებამ დააკავა კატა, რომელსაც ციხის ტერიტორიაზე ნარკოტიკები შეჰქონდა.

ნარკოკურიერი ცხოველი დააკავეს ციხის მახლობლად, რომელშიც 1,7 ათასი პატიმარი იხდის სასჯელს. კატას კისერზე, რომელიც საპატიმროს ტერიტორიაზე შეღწევას ცდილობდა, მიმაგრებული ჰქონდა ტომსიკა, რომელშიც სხვადასხვა სახის ნარკოტიკები ეწყო.

პანამის პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელის ანდრეს გუტიერეზის თქმით, ტომსიკაში ეწყო შეკვრები თეთრი ფერის ფხვნილით, ფოთლები და მცენარეული წარმომავლობის ნივთიერება.

პროკურორმა ედუარდო როდრიგეზმა განაცხადა, რომ დაჭერილ კატას ცხოველთა თავშესაფარში მოათავსეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დედაქალაქური დერბი ისევ საბურთალომ მოიგო, ჭიაბრიშვილი მსაჯს ხელით შეეხო

**ლოკომოტივი-საბურთალო 0:1**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 ტაბატაძე (21)

**ლოკომოტივი:** მამარდაშვილი, გაბაძე (ქველაძე 57), კაშია, სანდოხაძე, უბილავა, დარცმელია, სამურკასოვი (კახაბრიშვილი 57), იმრანი (გავაშელიშვილი 66), შონია, თ.კირკიტაძე (მუკბანიანი 77), სიხარულიძე

**საბურთალო:** გოშაძე, მალი, ლაცაბიძე (ჯინჯოლავა 61), მუდრაკი, კაკუბავა, ი.ტაბატაძე (შულაია 69), ძებნიაური, ლ.ნონიკაშვილი (ცნობილაძე 87), ტერა (ჯგერენაია 87) , გოჩოლეიშვილი (კოხრეიძე 69), მანდრიჩენკო

ეროვნული ლიგის მე-10 ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისური დერბი იყო, რომელიც ლოკომოტივსა და საბურთალოს შორის გაიმართა. მატჩი ხვიჩა შუბითიძის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. გეტყვით, რომ შუბითიძე ახლახან დაინიშნა საბურთალოელთა მწვრთნელად, რომელმაც ლევან კორღალიძე ჩაანაცვლა.

სტუმრებმა თანაქალაქელთა დამარცხება იური ტაბატაძის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოახერხეს. საბურთალომ ლოკომოტივს სეზონში მეორე დაპირისპირება მოუგო, თან ისე, რომ საკუთარი კარი მშრალად შეინახა.

ახლა მატჩის მიწურულს მომხდარი ინციდენტის შედეგად, ლოკომოტივს 3 ქულის დაკარგვასთან ერთად მთავარი მწვრთნელიც გაუძევეს – გიორგი ჭიაბრიშვილი უბილავას მიმართ ნაჩვენები ყვითელ ბარათს აპროტესტებდა, რასაც მთავარი არბიტრის მხრიდან მწვრთნელის მიმართ ასევე ყვითელი ბარათის ჩვენება მოჰყვა. შემდეგ ჭიაბრიშვილი მსაჯს ფიზიკურადაც შეეხო და ალეკო აფციაურმა ის მოედნიდან გააძევა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენმატჩიანი დისკვალიფიკაცია ექნება მასპინძელთა მთავარ მწვრთნელს.

**შუქურა-დილა 1:1**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

1:0 სარდალიშვილი (55), 1:1 ჩიტეიშვილი

**შუქურა:** შეროზია, ხმალაძე, რეხვიაშვილი, ჭანტურია, ფარტენაძე, გურეშიძე (გოგიტიძე 88), კაკაშვილი, ჯეფინიო (ჩელებაძე 70), მუსელიანი, სარდალიშვილი (ექვთიმიშვილი 70), ინგოროყვა

**დილა:** გუგეშაშვილი, სილვა, ჭიჭინაძე, ეტოუ, ა.სანტოსი (ჩიტეიშვილი), ნონდი, ბიძინაშვილი, გაგნიძე, ბულრიძე (ნემსაძე 63), კაპანაძე, კამარა (წოწონავა 69)

ქობულეთის შუქურა ამ სეზონში საკმაოდ კარგად გამოიყურება და აგერ უკვე მეორე ტურია ფავორიტ გუნდთან არაფერს თმობს. ბათუმის დინამოს დამარცხების შემდეგ გიორგი შაშიაშვილის გუნდი ახლოს იყო 3 ქულა გორის დილასთანაც აეღო, მაგრამ მხოლოდ ფრეს დასჯერდა – 1:1.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ნომინალური მასპინძლები 55-ე წუთზე მიშიკო სარდალიშვილის გოლის წყალობით დაწინაურდნენ. თუმცა, უპირატესობა ველარ შეინარჩუნეს და 75-ე წუთზე რევაზ ჩიტეიშვილს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს.

**სამტრედია-თელავი 2:1**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 ნათან ჟუნიორი (35), 2:0 ბერიაშვილი (38სკ), 2:1 შეყილაძე (50)

**სამტრედია:** ქურდაძე, ერაძე, გიორგაძე, ნადირაძე, იოსელიანი (გადირზარდე 58), ცეცხლაძე (რობაქიძე 75), მესიაჩენკო, კვირკვია, ნათან ჟუნიორი (ლუკავა 90), კობახიძე (ვარიეტი 58), ილურიძე (დოობი 75)

**თელავი:** ჩოჩიშვილი, ფაცაცია, ბერიაშვილი, ძოწერიძე (აშორტია 89), შერგელაშვილი, ბაიბალაიევი (ციცქიშვილი 60), მ.ბაშალეიშვილი, მარაქველიძე (კოხრეიძე 76), არდაზაშვილი (შეყილაძე 46), ჯანელიძე (ნ.ბაშალეიშვილი 46), ინჯგია

**გაძევება:** შერგელაშვილი (90+2)

მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა სამტრედიამ, რომელმაც საკუთარ მოედანზე თელავი მიიღო და 2:1 დაამარცხა. ეს გია ცეცაძის გუნდისთვის სეზონში მეორე გამარჯვება იყო.

პირველი ტაიმი იმერლების იყო. 34-ე წუთზე ბრაზილიელმა ლეგიონერმა ნათან ჟუნიორმა გაიტანა, რასაც 4 წუთში სტუმართა დაცვის ლიდერ, ილია ბერიაშვილის ავტოგოლი მოჰყვა.

რევაზ გოცირიძემ მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ცვლილებებს მიმართა და გაუმართლა – ანტრაქტის შემდეგ ზუსტად 4 წუთში შეცვლაზე შესულმა შოთა შეყილაძემ გოლი გაიტანა და ანგარიში შეამცირა.

ორივე გუნდი ანგარიშის შეცვლას ცდილობდა, სამტრედიელთა მეკარის, ბექა ქურდაძის მშვენიერი სეივიც ვიხილეთ, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა.

მატჩის ბოლოს ემოციებმაც იმატა, თელაველთა მცველ, ლაშა შერგელაშვილს წითელი ბარათიც აუფრიალეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 9 | 7 | 1 | 1 | 18-7 | 22 |
| 2.დინამო (ბთ) | 9 | 5 | 3 | 1 | 11-5 | 18 |
| 3.დილა | 10 | 5 | 3 | 2 | 12-7 | 18 |
| 4.საბურთალო | 10 | 4 | 5 | 1 | 13-9 | 17 |
| 5.ლოკომოტივი | 10 | 4 | 2 | 4 | 16-17 | 14 |
| 6.შუქურა | 10 | 3 | 4 | 3 | 10-9 | 13 |
| 7.სამგურალი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-11 | 9 |
| 8.სამტრედია | 10 | 2 | 1 | 7 | 9-16 | 7 |
| 9.თელავი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-16 | 6 |
| 10.ტორპედო | 9 | 0 | 5 | 4 | 5-11 | 5 |

## სერბი დათუნაშვილი ევროპის ჩემპიონია



პოლონეთში მიმდინარე ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი ქართულმა დელეგაციამ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაიწყო.

130 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში იაკობ ქაჯაია ფინალში 8-გზის ევროპის ჩემპიონ თურქ რიზა კაიას დაეჭიდა და ვერას გახდა – 1:3.

მანამდე ქაჯაიამ ჩეხ შტეფან დავიდს 9:0 მოუგო, შემდეგ რუსეთის სახელით მოჭიდავე ზურაბ გედახაურს 3:1 სძლია, ხოლო ნახევარფინალში ლიეტუველ რომას ფრიდრიკასთან ისევ 9:0 იმარჯვა.

ლერი აბულაძემ, რომელიც 63 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში რუმინელი მიჰაი რადუ მინუ 9:1 დაამარცხა და კვარცხლბეკზე შედგა.

აბულაძემ მედლამდე თურქ აბულაჰმან ალტანს 4:2 მოუგო, შემდეგ გერმანელი ანდრე გინცი 9:0 გააცამტვერა და ნახევარფინალში რუს ჯამბულათ ლოკიაევთან 5:9 დამარცხდა. სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონი გახდა ზურაბ დათუნაშვილი, ვინც პოლონურ ხალიჩაზე სერბეთი ასახელა. მან ეს ტიტული მესამედ მოიპოვა, წინა ორი სამშობლოს სახელით...

## ევროპირველობის მასპინძელი ქალაქები შეიცვალა

2021 წელს გასამართი ევრო 2020-ის მასპინძელი ქალაქები შეიცვალა. უეფას გადაწყვეტილებით, ირლანდიის დედაქალაქი დუბლინი და ესპანეთის ქალაქი ბილბაო ევროპის ჩემპიონატს არ უმასპინძლებენ.

თუმცა, ესპანელების შემთხვევაში არ შეცვლილა ქვეყანა – ბასკურ ქალაქში დაგეგმილი 4 მატჩი ისევ ესპანეთში გაიმართება, მათ სევილიას „ესტადიო ლა კარტუხა" უმასპინძლებს. დუბლინის ნაცვლად კი, უეფამ სანკტ-პეტერბურგი და ლონდონი აირჩია. რუსეთში ჯგუფური ეტაპის 3 შეხვედრა და 1 მეოთხედფინალი ჩატარდება, ხოლო 1 მერვედფინალური დაპირისპირება ლონდონში შედგება.

ცვლილების მიზეზი კორონავირუსის პანდემია და მაყურებლების დასწრების აუცილებელი პირობა გახდა. უეფას დუბლინსა და ბილბაოში ქომაგების დასწრების გარანტია ვერ მისცეს, რის გამოც ეს 2 ქალაქი ევრომასპინძლის სტატუსის გარეშე დარჩა.

კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა კიდევ ერთი ქალაქი – მიუნხენი. თუმცა, გაირკვა, რომ გერმანიის მთავრობამ თამაშებზე მაყურებელთა დასწრების უფლება გასცა და ბავარიის მთავარ ქალაქში გასამართ მატჩებს მინიმუმ 14.500 გულშემატკივარი დაესწრება, რამაც მიუნხენს მასპინძლობის უფლება შეუნარჩუნა. ამრიგად, ევრო 2020 შემდეგ ქალაქებში გაიმართება: რომი (იტალია), კოპენჰაგენი (დანია), ბუქარესტი (რუმინეთი), ამსტერდამი (ნიდერლანდები), ბუდაპეშტი (უნგრეთი), გლაზგო (შოტლანდია), ბაქო (აზერბაიჯანი), ლონდონი (ინგლისი), მიუნხენი (გერმანია), სევილია (ესპანეთი) და სანკტ-პეტერბურგი (რუსეთი).

ევროპის ჩემპიონატი 11 ივნისს დაიწყება და ტურნირის გახსნით მატჩში რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" იტალია თურქეთის ნაკრებს უმასპინძლებს. აქვე გეტყვით, რომ ყველა მასპინძელ ქალაქში გულშემატკივრის დასწრება სტადიონის ტევადობის მინიმუმ 25%-ზე ნებადართულია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## 24 აპრილი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ნიუკასლი ........ 1:1
ვესტ ჰემი-ჩელსი ........ 0:1
შეფილდი-ბრაიტონი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 24 | 5 | 4 | 69-24 | 77 |
| 2.მანჩესტერი | 32 | 19 | 9 | 4 | 64-35 | 66 |
| 3.ლესტერი | 32 | 18 | 5 | 9 | 58-37 | 59 |
| 4.ჩელსი | 33 | 16 | 10 | 7 | 51-31 | 58 |
| 5.ვესტ ჰემი | 33 | 16 | 7 | 10 | 53-43 | 55 |
| 6.ლივერპული | 33 | 15 | 9 | 9 | 55-39 | 54 |
| 7.ტოტენჰემი | 33 | 15 | 8 | 10 | 56-38 | 53 |
| 8.ევერტონი | 32 | 15 | 7 | 10 | 44-40 | 52 |
| 9.არსენალი | 33 | 13 | 7 | 13 | 44-37 | 46 |
| 10.ლიდსი | 32 | 14 | 4 | 14 | 50-50 | 46 |
| 11.ასტონ ვილა | 31 | 13 | 5 | 13 | 44-35 | 44 |
| 12.ვულვზი | 33 | 11 | 8 | 14 | 32-45 | 41 |
| 13.კრ.პალასი | 31 | 10 | 8 | 13 | 33-52 | 38 |
| 14.ბარნლი | 33 | 9 | 9 | 15 | 30-45 | 36 |
| 15.საუთჰემპტონი | 32 | 10 | 6 | 16 | 40-58 | 36 |
| 16.ნიუკასლი | 33 | 9 | 9 | 15 | 36-54 | 36 |
| 17.ბრაიტონი | 33 | 7 | 13 | 13 | 33-39 | 34 |
| 18.ფულემი | 33 | 5 | 12 | 16 | 25-43 | 27 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 32 | 5 | 9 | 18 | 28-62 | 24 |
| 20.შეფილდი | 33 | 5 | 2 | 26 | 18-56 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბორნმუთი-ბრენტფორდი ........ 0:1
ბარნსლი-როტერჰემი ........ 1:0
ბლექბერნი-ჰადერსფილდი ........ 5:2
დერბი-ბირმინგემი ........ 1:2
კარდიფი-უიკომბი ........ 2:1
ქოვენთრი-პრესტონი ........ 0:1
ქპრ-ნორვიჩი ........ 1:3
მიდლსბრო-უენსდი ........ 3:1
ნოტინგემი-სტოკი ........ 1:1
უოტფორდი-მილუოლი ........ 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-დორტმუნდი ........ 0:2
მაინცი-ბაიერნი ........ 2:1
უნიონი-ვერდერი ........ 3:1
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი ........ 1:1
ლევერკუზენი-აინტრახტი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 22 | 5 | 4 | 86-40 | 71 |
| 2.ლაიფციგი | 30 | 18 | 7 | 5 | 53-25 | 61 |
| 3.ვოლფსბურგი | 31 | 16 | 9 | 6 | 54-32 | 57 |
| 4.აინტრახტი | 31 | 15 | 11 | 5 | 62-47 | 56 |
| 5.დორტმუნდი | 31 | 17 | 4 | 10 | 66-42 | 55 |
| 6.ლევერკუზენი | 31 | 14 | 8 | 9 | 51-35 | 50 |
| 7.უნიონი | 31 | 11 | 13 | 7 | 47-38 | 46 |
| 8.გლადბახი | 30 | 11 | 10 | 9 | 54-46 | 43 |
| 9.ფრაიბურგი | 30 | 11 | 8 | 11 | 45-43 | 41 |
| 10.შტუტგარტი | 30 | 10 | 9 | 11 | 52-49 | 39 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 31 | 9 | 9 | 13 | 45-50 | 36 |
| 12.მაინცი | 30 | 9 | 7 | 14 | 33-49 | 34 |
| 13.აუგსბურგი | 31 | 9 | 6 | 16 | 31-47 | 33 |
| 14.ვერდერი | 31 | 7 | 9 | 15 | 34-51 | 30 |
| 15.არმინია | 30 | 8 | 6 | 16 | 23-46 | 30 |
| 16.კიოლნი | 31 | 7 | 8 | 16 | 32-56 | 29 |
| 17.ჰერტა | 28 | 6 | 8 | 14 | 34-48 | 26 |
| 18.შალკე | 30 | 2 | 7 | 21 | 18-76 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიუნბერგი-ჰაიდენჰაიმი ........ 3:1
ოსნაბრიუკი-კილი ........ 1:3
პადერბორნი-ფორტუნა ........ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ელჩე-ლევანტე ........ 1:0
ვალიადოლიდი-კადისი ........ 1:1
ვალენსია-ალავესი ........ 1:1
რეალი-ბეტისი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 32 | 22 | 7 | 3 | 59-20 | 73 |
| 2.რეალი | 33 | 21 | 8 | 4 | 56-24 | 71 |
| 3.ბარსელონა | 31 | 21 | 5 | 5 | 74-28 | 68 |
| 4.სევილია | 32 | 21 | 4 | 7 | 47-25 | 67 |
| 5.სოსიედადი | 32 | 13 | 11 | 8 | 50-34 | 50 |
| 6.ბეტისი | 33 | 14 | 8 | 11 | 42-45 | 50 |
| 7.ვილიარეალი | 32 | 12 | 13 | 7 | 49-36 | 49 |
| 8.გრანადა | 31 | 12 | 6 | 13 | 40-51 | 42 |
| 9.ოსასუნა | 32 | 10 | 10 | 12 | 30-37 | 40 |
| 10.სელტა | 32 | 9 | 11 | 12 | 42-50 | 38 |
| 11.ბილბაო | 31 | 9 | 11 | 11 | 39-33 | 38 |
| 12.ლევანტე | 33 | 9 | 11 | 13 | 38-46 | 38 |
| 13.კადისი | 33 | 9 | 10 | 14 | 28-49 | 37 |
| 14.ვალენსია | 33 | 8 | 12 | 13 | 41-48 | 36 |
| 15.ხეტაფე | 32 | 7 | 10 | 15 | 24-39 | 31 |
| 16.ალავესი | 33 | 7 | 10 | 16 | 28-49 | 31 |
| 17.ელჩე | 33 | 6 | 12 | 15 | 29-49 | 30 |
| 18.ვალიადოლიდი | 32 | 5 | 14 | 13 | 29-43 | 29 |
| 19.უესკა | 32 | 5 | 12 | 15 | 31-48 | 27 |
| 20.ეიბარი | 32 | 4 | 11 | 17 | 23-45 | 23 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალაგა-ფუენლაბრადა ........ 0:1
ლოგრონიესი-კარტახენა ........ 0:1
ესპანიოლი-ლას პალმასი ........ 4:0
პონფერადინა-ლუგო ........ 2:0

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-სპეცია ........ 2:0
პარმა-კროტონე ........ 3:4
სასუოლო-სამპდორია ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 32 | 23 | 7 | 2 | 71-29 | 76 |
| 2.მილანი | 32 | 20 | 6 | 6 | 60-38 | 66 |
| 3.ატალანტა | 32 | 19 | 8 | 5 | 73-39 | 65 |
| 4.იუვენტუსი | 32 | 19 | 8 | 5 | 64-29 | 65 |
| 5.ნაპოლი | 32 | 20 | 3 | 9 | 71-37 | 63 |
| 6.ლაციო | 31 | 18 | 4 | 9 | 53-46 | 58 |
| 7.რომა | 32 | 16 | 7 | 9 | 56-48 | 55 |
| 8.სასუოლო | 33 | 14 | 10 | 9 | 55-50 | 52 |
| 9.სამპდორია | 33 | 12 | 6 | 15 | 43-47 | 42 |
| 10.ვერონა | 32 | 11 | 8 | 13 | 40-40 | 41 |
| 11.უდინეზე | 33 | 10 | 9 | 14 | 38-44 | 39 |
| 12.ბოლონია | 32 | 10 | 8 | 14 | 44-48 | 38 |
| 13.ჯენოა | 33 | 8 | 12 | 13 | 37-48 | 36 |
| 14.ფიორენტინა | 32 | 8 | 9 | 15 | 41-53 | 33 |
| 15.სპეცია | 33 | 8 | 9 | 16 | 42-62 | 33 |
| 16.ტორინო | 31 | 6 | 13 | 12 | 46-54 | 31 |
| 17.ბენევენტო | 33 | 7 | 10 | 16 | 37-66 | 31 |
| 18.კალიარი | 32 | 7 | 7 | 18 | 36-54 | 28 |
| 19.პარმა | 33 | 3 | 11 | 19 | 36-70 | 20 |
| 20.კროტონე | 33 | 5 | 3 | 25 | 42-83 | 18 |

**იტალია. სერია ბ**

პორდენონე-პიზა ........ 2:2

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტ.ეტიენი-ბრესტი ........ 1:2
მეცი-პსჟ ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 23 | 3 | 8 | 77-26 | 72 |
| 2.ლილი | 33 | 20 | 10 | 3 | 54-20 | 70 |
| 3.მონაკო | 33 | 21 | 5 | 7 | 70-38 | 68 |
| 4.ლიონი | 33 | 19 | 10 | 4 | 65-32 | 67 |
| 5.მარსელი | 34 | 15 | 10 | 9 | 49-42 | 55 |
| 6.ლანსი | 33 | 14 | 11 | 8 | 52-45 | 53 |
| 7.რენი | 33 | 14 | 9 | 10 | 43-35 | 51 |
| 8.მონპელიე | 34 | 12 | 11 | 11 | 54-57 | 47 |
| 9.ნიცა | 34 | 13 | 7 | 14 | 44-45 | 46 |
| 10.მეცი | 34 | 11 | 10 | 13 | 37-41 | 43 |
| 11.რეიმსი | 34 | 9 | 14 | 11 | 39-41 | 41 |
| 12.ანჟე | 33 | 11 | 8 | 14 | 34-50 | 41 |
| 13.ბრესტი | 34 | 11 | 7 | 16 | 47-57 | 40 |
| 14.სტ.ეტიენი | 34 | 10 | 9 | 15 | 39-52 | 39 |
| 15.სტრასბური | 33 | 10 | 7 | 16 | 42-51 | 37 |
| 16.ბორდო | 33 | 10 | 6 | 17 | 35-48 | 36 |
| 17.ლორიანი | 33 | 8 | 8 | 17 | 40-61 | 32 |
| 18.ნიმი | 33 | 8 | 7 | 18 | 32-60 | 31 |
| 19.ნანტი | 33 | 5 | 13 | 15 | 33-51 | 28 |
| 20.დიჟონი | 33 | 3 | 9 | 21 | 22-56 | 18 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ტრუა-გრენობლი ........ 3:1
აიაჩო-ამიენი ........ 2:2
ვალანსიენი-ნიორი ........ 1:1
გენგამი-პარიზი ........ 0:0
ოსერი-დიუნკერკი ........ 2:1
როდეზი-ლე ავრი ........ 1:1
სოშო-კაენი ........ 1:0
შამბლი-ნანსი ........ 1:1

**ნიდერლანდები. ეკრედივიზიონი**

ჰერენვენი-ზვოლე ........ 0:2
პსვ-გრონინგენი ........ 1:0
სპარტა-ვენლო ........ 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ახმატი ........ 1:1
ზენიტი-როტორი ........ 6:0
დინამო-ხიმკი ........ 0:1
ტამბოვი-ლოკომოტივი ........ 2:5

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-აუსტრია ........ 0:2
ალტახი-ჰარტბერგი ........ 2:2
რიდი-სტ.პოლენი ........ 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ჰატაი ........ 0:0
ტრაბზონი-ქარაგუმრუქი ........ 2:0
ანთალია-გალათასარაი ........ 0:1
ბეშიქთაში-ქაისერი ........ 3:1
დენიზლი-სივასი ........ 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პანეთოლიკოსი ........ 0:1
ლარისა-ოფი ........ 0:1
ატრომიტოსი-ლამია ........ 0:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-იაბლონეცი ........ 0:2
სიგმა-ბანიკი ........ 0:2
ბოლესლავი-ლიბერეცი ........ 0:1
პლზენი-სლოვაცკო ........ 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ვადუცი ........ 1:0
ლოზანა-ბაზელი ........ 3:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-პლოცკი ........ 0:2
ზაგლებიე-პიასტი ........ 2:2
ვისლა-კრაკოვია ........ 0:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

პუშკაში-ზალაეგერსეგი ........ 1:4
კიშვარდა-დიოშდიორი ........ 0:1
უიპეშტი-მტკ ........ 1:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დნიპრო-მინაი ........ 3:0
კოლოსი-ვორსკლა ........ 3:0
ლვოვი-დესნა ........ 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰაკენი-სირიუსი ........ 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰიკი-ჰონკა ........ 4:2
ინტერი-კუუპიო ........ 1:0

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ბაქტერიების მშთანთქმელი დამშლელი მიკროორგანიზმი; 2. ბრინჯით, ხახვით, ტყემლითა და მწვანილით შეზავებული მოხარშული ხორცის კერძი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ნავთობის საბადო კახეთში; 9. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. ხელოვნების, მეცნიერების აღორძინება; 14. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 16. „სამანიშვილის დედინაცვლის" პერსონაჟი; 18. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

**თარაზულად:** 1. ციტრუსოვანი ხილი; 4. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად; 7. მიხეილ ჭიაურელის მხატვრული ფილმი; 8. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდისტური მოძღვრების მიხედვით; 12. გრძელყელიანი გოგრის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს; 13. ფულის გამოშვება; 15. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 17. წელიწადის მეთორმეტედი; 19. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 20. პირობითი ნიშნების სისტემა საიდუმლო წერისთვის; 21. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პაგანინი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. პერგოლა; 10. ხონდრიტი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ხეოფსი; 17. გამპერი; 20. დრაჟე.

**თარაზულად:** 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. სპინოზა; 9. პირატი; 13. ბაშო; 14. ჰამერი; 18. პერინიონი; 19. ვალიო; 21. გრილი; 22. ფიზიკა; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოდა; 2. ანაშა; 3. ცეისი; 5. სენატი; 6. ჯარგვალი; 9. ციმაკურიძე; 10. ფიუმიჩინო; 11. მანიფესტი; 14. სნო; 16. საცივი; 18. უშტი.

**თარაზულად:** 1. კელარი; 4. ფასკუნჯი; 7. ღალატი; 8. სირტაკი; 12. ომარი; 13. ისრიმი; 15. ემბაზი; 17. ურო; 19. ბასილაშვილი; 20. სენტორ; 21. დიზელი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4464

ევრო — 4.1529

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7812

100 რუსული რუბლი — 4.5960

## ამინდის პროგნოზი 26 აპრილისათვის




## აგუეროს ბარსელონასთან შეთანხმებისთვის არ მიუღწევია



სერხიო აგუეროს ბარსელონასთან შეთანხმება ჯერჯერობით არ მიუღწევია, მიუხედავად იმისა, რომ ესპანურ მედიაში აქტიურად ვრცელდება ამის შესახებ ინფორმაცია. აგუეროს ბარსელონაში თამაშის სურვილი აქვს, მაგრამ მას რამდენიმე ფაქტორი აბრკოლებს, მათ შორის ისიც, რომ შესაძლოა ის ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ მოხვდეს ხოლმე. აგუეროს მთავარი მოტივაცია მესისთან ერთად თამაშია, რომელიც წლებია, მისი კარგი მეგობარია.

## ზიდანი: „მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ბეტისთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ეს უკან გადადგმული ნაბიჯია:

– სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ და ეს შესაძლოა ძვირად დაგვიჯდეს. ბეტისმა ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა და თითქმის ბოლომდე გადაგვიკეტა სივრცეები, რის გამოც მომენტების შექმნა გვიჭირდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ.

## კლოპი: „ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ დაგვიმსახურებია“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ნიუკასლთან ფრედ ნათამაშები მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ დაიმსახურა, მაგრამ ისინი მაინც ბოლომდე იბრძოლებენ ოთხეულში მოსახვედრად:

– ნიუკასლთან ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი არ ვარ და თუ ასე გავაგრძელეთ, მაშინ ჩემპიონთა ლიგაში არაფერი გვესაქმება. მინდა, რომ მოვუმატოთ და გულშემატკივარმა ისევ ძველი ლივერპული იხილოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– იცი, რას ვფიქრობ ყოველ ჯერზე, როდესაც მაღაზიაში შევდივარ?

– რას?

– იმას, რომ ამ ფასებს უკანასკნელად ვხედავ.

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– ჩემთან მხოლოდ სექსის გულისთვის ხარ?

– ასეთ რამეს როგორ მეუბნები! განა ეს სექსია?

●●●

ორი ახლადდაქორწინებული ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ქორწილამდე ჩემს ცოლთან სექსი ერთხელაც კი არ მქონია. შენ?

– რას მეკითხები! საიდან უნდა მახსოვდეს? ის მაინც მითხარი, რა ჰქვია შენს ცოლს?

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ტრუსიკი მოაშორე, ხელოსანი უნდა მოვიდეს გათბობის შესაკეთებლად.

– რა, ფული სულ აღარ დაგვრჩა?

– ბატარეიდან მოაშორე ტრუსიკი, ბატარეიდან!

●●●

რაიონში ჩასული თბილისელი გასვენებას შეესწრო და ხედავს, მიცვალებულის სასახლე ოთხ ქალს მიაქვს. გაკვირვებული კითხულობს:

– კუბო ქალებს რატომ მიაქვთ?

– ცხონებული მამაკაცებზე იყო გაბრაზებული და ასე დაგვიბარა: „ცოცხალი არავინ წამიყვანა და მკვდარსაც ნუ გაატანთ ჩემს თავს, გაწყდა მაგათი სინსილა!“

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნოდიკო ტატიშვილმა თავი გადაიპარსა



მომღერალმა ნოდიკო ტატიშვილმა იმიჯი რადიკალურად შეიცვალა და თავი გადაიპარსა.

თავგადაპარსულმა მომღერალმა სპეციალურ ფოტოსესიაშიც მიიღო მონაწილეობა და ახალი იმიჯით ფართო საზოგადოების წინაშე წარდგა.

გადაწყვეტილება მომღერალს მეგობრების ნაწილმა მოუწონა, ნაწილმა კი აღიარა, რომ ნოდიკო ძველი იმიჯით უფრო საყვარელი იყო.

## პაპუნა დეკანოიძე გერმანული „ვოისის“ ნახევარფინალში მოხვდა



13 წლის ქართველი მომღერალი პაპუნა დეკანოიძე გერმანული „საბავშვო ვოისის“ ნახევარფინალში მოხვდა.

პაპუნამ ბრმა მოსმენებზე ოთხი მწვრთნელიდან სამი შემოაბრუნა. მისმა მწვრთნელმა რინგზე პაპუნა ორ კონკურსანტს დააპირისპირა. ტრიომ მსმენელისთვის აეროსმიტის ერთ-ერთი ცნობილი ჰიტი შეასრულა. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ნახევარფინალში სწორედ პაპუნა გადავიდა.

## ნუცა ბუზალაძე ალბანეთის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს



ნუცა ბუზალაძემ მას შემდეგ, რაც რუსეთში მუსიკალურ შოუში „ა ნუკა ვსე ვმესტე“ ნამდვილი ფურორი მოახდინა და 100-დან 100 ქულა დაიმსახურა, ალბანეთის საერთაშორისო ფესტივალშიც მიიღო მონაწილეობა.

**მიშო სულუხია, მომღერალი:**

– ნუცა ჩემი სიმღერით გამოდის საერთაშორისო ფესტივალზე ალბანეთში. ძალიან ვგულშემატკივრობ და ვღელავ. წარმატებები ვუსურვოთ ამ ნიჭიერ და საყვარელ გოგოს.

## გია ქობულაშვილმა ნიჭიერთა ათწლედს ჰობოი აჩუქა



ქართული მუსიკალური საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა ჰობოისტმა და ყველასათვის საყვარელმა მუსიკოსმა გია ქობულაშვილმა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედს“ გერმანული წარმოების, უმაღლესი ხარისხის ჰობოი აჩუქა.

როგორც მისი მეგობრები აღნიშნავენ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მუსიკოსი კეთილ საქმეს აკეთებს. მისი სიკეთეები მუსიკალურ წრეში ყველასთვის კარგად არის ცნობილი.

## როსტომ ჩხეიძე: „საქართველოს ეს ცხელი გული რიონის ხეობაში ასვენია“



მწერალმა როსტომ ჩხეიძემ რიონის ხეობის მცველებს სოლიდარობა გამოუცხადა:

– მწარე, მრუმე, გაუსაძლის სინამდვილეს შეჰყურებდა ლადო ასათიანი, მაგრამ იმედი მაინც არ დაეშრიტებოდა, რაკილა სინათლის სხივსაც ხედავდა და თანამოძმეთაც ამით აგულიანებდა:

ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენიაო!..

სვეტიცხოვლის ხსენება იწვევდა კრწანისის მწუხარე მოგონებასაც და ასპინძის ჰეროიკის გახსენებასაც.

ახლა საქართველოს ეს ცხელი გული რიონის ხეობაში ასვენია, ამ თვალშეუდგამ, ზეცას შეწვდენილ ტაძარში, მაგრამ თუ მიწა გამოეცლება, ის ტაძარიც ერთბაშად ჩამოიმზღვლევა და ცხელი გულიც დაიწრიტება და გაცივდება, ქვადქცეული კი ველარც თავს უშველის და ველარც ჩვენ დაგვიხსნის საბედისწერო ჟამისაგან.

და ამიტომაც ჩვენზე ჰკიდია:

რიონის ხეობა და ნამოხვანი კრწანისად გვექცევა და ტაბახმელად თუ ბასიანად და ხრესილად.

კვლავაც ძველებურად იბობოქრებს საქართველოს ცხელი გული თუ დაფლეთილ-დაგლეჯილი ქარს გადაჰყვება უფსკრულში და თან ჩაგვიყოლებს.

ყველა ხეობა ჩვენი ქვეყნისა ახლა რიონის ხეობაში შეკრებილა.

ყველა სოფელი და ქალაქი იქით წასწრაფებულა.

ყველას გულისთქმაც და მზერაც იქაურობას მიბჯენია.

და ფეთქავს, ჯერაც ფეთქავს საქართველოს ცხელი გული რიონის ხეობის დიდ ტაძარში!..

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## გაცოფებულმა სპილოებმა ბრაკონიერი გასრისეს



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში სპილოებმა ბრაკონიერობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი, რომელიც ცდილობდა, პარკის ზედამხედველს დამალვოდა, გადათელეს.

კვირას, 18 აპრილს, ზედამხედველები პარკში პატრულირებდნენ, რა დროსაც ადამიანის ნაკვალევი შენიშნეს, შემდეგ კი სამი მამაკაცი დაინახეს.

– ზედამხედველებმა შვეულმფრენისა და ძაღლების დახმარება ითხოვეს. როდესაც ბრაკონიერები მიხვდნენ, რომ ისინი შენიშნეს, ნაჯახი, ჩანთა საგზლით გადაყარეს და გაქცევას შეეცადნენ, – განაცხადა ეროვნული პარკის წარმომადგენელმა აიზეკ ფელამ.

ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დაკავება მოხერხდა. მან განაცხადა, რომ მისი თანამზრახველები სპილოების ჯოგისკენ გაიქცნენ. მან არ იცოდა, მოახერხეს თუ არა მათ მიმალვა.

მოგვიანებით პარკის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ერთ-ერთი ბრაკონიერი, რომელსაც სხეულზე მძიმე დაზიანებები ჰქონდა. სპილოების მიერ მიყენებული დაზიანებებისგან მამაკაცი გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე ზედამხედველებმა თოფი იპოვეს.

მესამე ეჭვმიტანილმა თვალი დაიზიანა, თუმცა მიმალვა მოახერხა. პარკის თანამშრომლებმა მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 26 აპრილისათვის



**ვერძი** – კრიტიკული დღეა. ნუ გადაიღლებით. ერიდეთ კონფლიქტს ოჯახის წევრებთან. **კურო** – ფინანსური ოპერაციები თქვენთვის არასასურველი კუთხით წარიმართება, თუმცა არ დაზარალდებით. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მოსალოდნელია ტრავმები და ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ არ გემჩნევათ, შინაგანად დაძაბული ხართ. მიენდეთ ინტუიციას. **ლომი** – კომერსანტებს ბედი გწყალობთ. მთავარია, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდეთ. **ქალწული** – სინდისის ხმას ყური უგდეთ. ნუ მიიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, რის გამოც შემდეგ საკუთარი თავის შეგრცხვებათ. **სასწორი** – თუ საქმეში სხვა ადამიანებსაც ჩართავთ, წარმატებას მიაღწევთ. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ღრიანკალი** – პროვოკაციული დღეა. ცდუნებას ნუ აჰყვებით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. **მშვილდოსანი** – გეგმები გეცვლებათ, რაც შესაძლოა შემთხვევითობამ განაპირობოს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თხის რქა** – გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატება. რეალობა ადეკვატურად შეაფასეთ. **მერწყული** – შთაგონება გეწვევათ, რაც წარმატების საწინდარია. შესაფერისი დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. **თევზები** – საყოფაცხოვრებო პირობების შესაცვლელად კარგი პერიოდია. ხელსაყრელ წინადადებაზე უარს ნუ იტყვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მხარეთა თანასწორობის პრინციპი რაიმე კონფლიქტის დროს; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი კატისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ალალბედზე მოქმედება; 4. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 5. ქალაქი იმერეთში; 10. სახელმწიფო ევროპაში; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ისლანდიის პარლამენტი; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. კანადის პრემიერ-მინისტრი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. შტატი აშშ-ში; 9. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 13. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 14. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 18. ქართველი მხატვარი; 19. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 21. ქალაქის თვითმმართველობა; 22. საფრანგეთის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*